საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 25-26 იანვარი. 2020 წ. №14 (8940) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ბრავო, დონალდ ტრამპ!

„ისევ ჩაიფსი, მიხეილ!“

3



ვინ და რატომ ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას?

8

ისრაელის წარმატებული ქალები პრეზიდენტმა საქართველოში მოიწვია

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ისრაელში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ ლიდერ და წარმატებულ ქალებს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელსაც მედიის, გასართობი ინდუსტრიის, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, სოციალური და საგამომცემლო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, პრეზიდენტმა საქართველოში სხვადასხვა სექტორის მიღწევებზე, არსებულ გამოწვევებსა და მათ დასაძლევად საჭირო ერთობლივ პროექტებზე ისაუბრა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა რეგიონულ განვითარებაზე, ტურიზმსა და სამედიცინო-სარეაბილიტაციო მედიცინის მიმართულებებზე.

საქართველოს პრეზიდენტმა სტუმრები საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებისა და პოტენციალის უკეთ გაცნობისა და შესაბამის ქართველ პარტნიორებთან დაკავშირების მიზნით საქართველოში მოიწვია. სტუმრებმა საქართველოს პრეზიდენტს შეხვედრისთვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარების პარალელურად მნიშვნელოვანია, სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავება.

იოსებ არჩვაძე: საქართველოში კორუფციის დონე იმაზე დაბალია, ხოლო საგადასახადო კულტურა და მენტალიტეტი - იმაზე მაღალი, ვიდრე ამის შესაძლებლობას ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონე იძლევა

5

ევროდეპუტატებისთვის მთავარია არა სიტუაციაში გარკვევა, არამედ პრეტენზიების ხმამაღლა გამოთქმა!

5

15 000 წლის წინანდელ ყინულებში აქამდე უცნობი უძველესი ვირუსები აღმოაჩინეს

9

საღდესასწაულო დროში აუქციონების გამართვა - საკანონმდებლო ხარვეზი თუ კორუფციის წყარო

4

ანონსი, 28 იანვრიდან

„ჯოქებ ჭკოსა პრაგნოსა“

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,

ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

ევროპის საბჭოს გენმდივანმა საქართველოს მიერ არჩეული პრიორიტეტები შეაქო



სტრასბურგში გამართულ ღონისძიებაზე ევროპის საბჭოში გენერალურმა მდივანმა და ორგანიზაციის წევრებმა საქართველოს თავმჯდომარეობის ერთ-ერთ პრიორიტეტად ახალგაზრდობის საკითხის შერჩევას მაღალი შეფასება მისცეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში მინისტრთა მოადგილეების არაფორმალური შეხვედრა გაიმართა, რომლის თემაც იყო — „ახალგაზრდობის ჩართულობით დემოკრატიის გაძლიერება ევროპის საბჭოსა და მის წევრ ქვეყნებში“.

ღონისძიება ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი გივიაშვილმა გახსნა. საკუთარ გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა ახალგაზრდობის საკითხების პრიორიტეტულობას ევროპის საბჭოსთვის და აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ამ კუთხით ორი მიმართულებით მუშაობს — ხელი შეუწყოს ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გაიზარდოს ახალგაზრდების აქტიურობის შესახებ ცნობადობა.

დამსწრეებს სიტყვით მიმართა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მარია პეიჩინოვიჩ ბურჩამ. გენერალური მდივანი მიესალმა, რომ საქართველოს თავმჯდომარეობამ თავის პრიორიტეტად შეარჩია ახალგაზრდობის თემატიკა. გენერალური მდივნის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სამი ძირითადი ღირებულების — ადამიანის უფლებების, სამართლის უზენაესობისა და დემოკრატიის განმტკიცებაში.

გენერალურმა მდივანმა ასევე ისაუბრა ახალგაზრდებისთვის განათლების უფლებისა და სოციალური უფლებების მიღების შესაძლებლობის შექმნაზე. ამ კუთხით ბურჩიჩ მიესალმა ახალგაზრდობის სექტორში 2030 წლის სტრატეგიის მიღებას და განაცხადა, რომ სტრატეგიის ძირითადი მიზანია, შექმნას ისეთი მექანიზმები, რომელიც ახალგაზრდების წინაშე დღეს არსებულ გამოწვევებს უპასუხებს.

შეხვედრის მონაწილეებს ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტს სიტყვით მიმართა საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელმა რევაზ ჩარკვიანმა. ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელმა ისაუბრა ეროვნულ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობისა და ჩართულობის მნიშვნელობაზე და ამ პროცესში საგენტოს როლზე. მან ისაუბრა იმ რეფორმებზე, რომელიც ახალგაზრდობის სექტორში გატარდა და მოახდინა ამ მიმართულებით სამთავრობო უწყებების ფუნქციების გაერთიანება.

მისი თქმით, სწორედ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის ჩართულობით არის შესაძლებელი თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

დავსხდეთ და ვისაუბროთ! წერილი არაა საუბრის ფორმა!

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ამერიკელ კონგრესმენებს საუბრის ფორმას უწუნებს.

„შეიძლება, წერილები არაა ის ფორმა, რომლითაც უნდა საუბრობდნენ სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები. დავსხდეთ და ვისაუბროთ. ყველას ყველაფერს ავუხსნით“, — ასე ეხმაურება პრემიერი გახარია ამერიკელი კონგრესმენების მიერ მისი მისამართით გამოგზავნილ წერილს.

მისი თქმით, ის ყოველთვის მზადაა სტრატეგიულ პარტნიორებთან სასაუბროდ.

„ჩვენ არ გვაქვს პრობლემა, რომ ყველა სახის შეფასება, თუნდაც მწვავე, სამართლიანი, შეიძლება, ჩვენი გადმოსახედიდან უსამართლო, დავსხდეთ და ობიექტურად განვიხილოთ, რასაც უახლოეს პერიოდში გავაკეთებთ.

უნდა გვესმოდეს, რომ როგორი მოტივებიც არ უნდა არსებობდეს მსგავსი წერილების ან შეფასებების მიღმა, ჩვენ გვჯერა, რომ ეს არის გულწრფელი ნაბიჯები იმ მეგობრობისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესის მხარდასაჭერად, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, აშშ მხარს უჭერს“, — განაცხადა გახარიამ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, შესაძლოა, შეფასებებში იყოს სუბიექტური მომენტები, რაზეც ასევე ისაუბრებენ.

„ყველას ყველაფერს ავუხსნით და ყველას ყველაფერს დავანახებთ, ზუსტად ისე, ობიექტურად, როგორც ეს ჩანს თბილისიდანაც, ვაშინგტონიდანაც, ბრიუსელიდანაც და სხვა დედაქალაქებიდანაც, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად და ხაზგასმით აღიარებენ იმ პროგრესს დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანამ გაიარა. ეს სახეზეა. ამ წერილში გარკვეული ეკონომიკური ასპექტებიც არსებობდა.

საქართველო დღეს რეგიონში ეკონომიკურად ყველაზე სწრაფად და მდგრადად ვითარდება. ამასაც ჩვენს მეგობრებს და კოლეგებს ავუხსნით დეტალურად, ციფრებით, კონკრეტული მაგალითებით და იმ შედეგებით, რასაც ჩვენ ყველანი ერთად ვაღწევთ“, — აცხადებს პრემიერი.

შეგახსენებთ, საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა ის წერილი, რომელიც 4-მა ამერიკელმა კონგრესმენმა — ადამ კინზინგერმა, ჯერი კონოლიმ, მაიკლ მაკკოლმა და ელიოტ ენგელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას გამოუგზავნა.

წერილში კონგრესმენები შეშფოთებას გამოთქვამენ დაპირებული დემოკრატიული რეფორმის ჩაგდებისა და თანმხლები ძალადობის გამო მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ. რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა წერილის თაობაზე, გუშინ სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ დაწერა.

თბილისის საკრებულოში ლევან ხაბეიშვილი სცემეს!

თბილისის საკრებულოში „ქართული ოცნების“ წევრებმა და ლევან ხაბეიშვილმა იჩხუბეს. სარევიზიო კომისიის სხდომა ჩაიშალა.

საკრებულოს უმრავლესობის წევრების თქმით, საკრებულოს წევრების მიმართ ხაბეიშვილი სატელევიზიო ეთერში შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდა, რასაც სხდომაზე ხმაური და ჩხუბი მოჰყვა. ხაბეიშვილი გამოუსწორებელი დემაგოგია!

აჭარის საინვესტიციო პორტფელი 4 მლრდ ლარს შეადგენს

აჭარაში განხორციელებული ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის შედეგად, აჭარის საინვესტიციო პორტფელი 4 მილიარდ ლარს შეადგენს. ეს არის 2019 წლის ახალი, ასევე წინა წლებში დაწყებული და 2019 წელს მიმდინარე პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულება. მაჩვენებელში შედის ყველა პროექტი, რაზეც ხელშეკრულება გაფორმებულია აჭარის მთავრობის მიერ, ან 2019 წელს გაცემულია სამშენებლო ნებართვა.

„ცენტრ პოინტის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით თბილისის მერიაში შეხვედრა გაიმართა

მენაშენეებმა თბილისის მერს კახა კალაძესა და დეველოპერებს დაუსრულებელი ბინების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. განიხილეს „დაკიდებული ბაღების“, „გურამიშვილისა“ და „თაბუკაშვილის“ ობიექტების საკითხები. დეველოპერებმა სამივე დაუსრულებელ კომპლექსზე ინტერესი გამოთქვეს, თუმცა ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

„ჩვენ „ცენტრ პოინტი“ დავყავით ორ ძირითად მიმართულებად. ერთი არის ის ბინები, სადაც მოსახლეობა უკვე შესულია, თუმცა დასრულებელია ეს კორპუსები და გასარემონტებელი. მეორე მიმართულება არის ხუთი ობიექტი, რომელიც არ აშენებულა და ასაშენებელია. ჩვენ რამდენიმე თვის წინათ ჩავატარეთ შეხვედრა შვიდ ობიექტზე, რომელიც გასარემონტებელია. შეხვედრა ეხებოდა ხუთი ასაშენებელი ობიექტიდან სამ ობიექტს. ამ ხუთი ობიექტიდან, რომელიც არის ასაშენებელი, ჩვენ ორზე ვაწარმოებთ უკვე მოლაპარაკებას, გვყავს კონკრეტული ინვესტორები. ეს არის „ანაგი“ და „თბილი სახლი“, ხოლო სამზე არ იყო გამოკვეთილი ინვესტორები. დღეს ჩვენ დავუძახეთ დეველოპერების იმ ნაწილს, რომელიც თავისი მასშტაბებით შეესაბამებიან ამგვარი მოცულობის პროექტებს და ძირითადი ინფორმაციები წარვუდგინეთ ამ სამ ობიექტთან დაკავშირებით და ველოდებით მათგან გამოხმაურებას. ის კომპანიები, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს და მზადყოფნას, რომ განახორციელონ ეს პროექტები, ჩვენ ასეთ კომპანიებთან გადავალთ დეტალურ მოლაპარაკებებზე. გამოიკვეთა ძალიან დიდი დაინტერესება. კარგ კომერციულ პროექტებად შეიძლება ქცევა და ველოდებით მათგან გამოხმაურებას. ჩვენ გვინდა, რომ მთელი ეს პროცესი იყოს სამიდან სამნახევარწლიანი თავის ყველა მიმართულებით, რათა ამ პერიოდში დასრულდეს პროექტები.

ჩვენი მიზანი და გეგმა არის, რომ არ დარჩეს არა მხოლოდ „ცენტრ პოინტის“ დაზარალებული, საერთოდ არ დარჩეს დაუსრულებელი მშენებლობის გამო დაზარალებული თბილისში. „ცენტრ პოინტში“ დაზარალებულად მოიაზრება 6500 ოჯახამდე. აქედან დაახლოებით 80 პროცენტი არის იმ შვიდ ობიექტში, სადაც ისინი უკვე ცხოვრობენ და დანარჩენები არიან ასაშენებელ ობიექტებში, რომლებიც ელოდებიან თავიანთ ბინებს“, — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

კომპანიების ნაწილი ამბობს, რომ თბილისის მერიის მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობაა როგორც დეველოპერული სექტორისთვის, ისე დაზარალებულებისთვის. ამასთან, კომპანიებმა წარმოადგინეს შესაბამისი პირობები, დღგ-სგან გათავისუფლება და კოეფიციენტის ზრდა.

„ისევ ჩაიფსი, მიხეილ!“

ამერიკის სენატმა ტრამპის იმპიჩმენტი უარყო!

ტრამპის იმპიჩმენტის მცდელობამ ჩაილულის წყალი დალია. სამარცხვინოდ. აი, რას ნიშნავს უმრავლესობის(!!!) ნება.

ამ ფონზე უსიამო ფიქრები წამოტივტივდა:

წარმოიდგინეთ, ახლა, ოთხმა ქართველმა დეპუტატმა ამერიკის წარმომადგენელთა პალატის სპიკერ-ქალბატონს წერილი რომ მისწეროს და უსაყვედუროს, რას მიქარავთ, რა იმპიჩმენტი აგიტყდათო და ა.შ.

ანდა, სენატის სპიკერის სავარძელში მჯდომს: მიდით, კუდით ქვა ასროლინეთ მაგ კორუმპირებულ დემოკრატებსო და ა.შ.

მერე, აშშ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს: ეეეე, რეებს მიჰქარავენ ეს პუტინისტი კონგრესმენები და ა.შ...

რა სისულელეს წერო, მაწყვეტინებს ჩემი კუკური, ვინ კითხავთ ქართველ დეპუტატებს „ბალი ორი შაურიაო“...

აბა, ისინი რომ წერენ ხან კერძო, ხან კი კოლექტიურ წერილებს ჩვენებს და ტუქსავენ პატარა ბავშვებივითო? რატომ, რა უფლებით გელაპარაკებიან ასეთ ტონალობაში?

— ეგ აშშ არისო, მიხსნის ყოვლისმცოდნე ჩემი კუკური, ეგენი ფულს კი ხარჯავენ ჩვენზე, თავიანთი ინტერესის გამო, მაგრამ მაინც მაგათი დახმარებით გვიდგას სულიო, ამიტომაც „წარგვმართავენ“, გვაკონტროლებენ, გვაიმედებენ, დემოკრატიას „გვიმყარებენ“. ამიტომ... მაგათ ყველაფრის უფლება აქვთო, თუ „ხოში“ მოუვლით, ყურსაც აგვიწევენ და თითსაც დაგვიქნევენ, ჩვენც და მაგათი მხარდაჭერით „არჩეულ-დანიშნულ“ პრეზიდენტს ნებისმიერი „დამოუკიდებელი“ ქვეყნისასო...

ახლა არ დამიწყო დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და შეკითხვები, აგრძელებს კუკური:

თუ გინდა, რომ ჭკუა არავინ „გასწავლოს“ და ყურიც არ აგიწიოს, მაშინ არ უნდა იწუწუნო, მათხოვრულად ხელი გაშვერილი არ უნდა გქონდეს, არ უნდა ეხვეწო არავის, დამიცავი ჩემი ხარბი და მსუნაგი მეზობლისგანო...

ხომ გახსოვს, ბავშვს რომ ჰკითხეს, რატომ ღრიალებო და... გამდის და იმიტომაცო....

მართალია კუკური! ამიტომაც, როცა ლოყაზე „მოგვითათუნებენ“ და მაინც გასუსულები ვართ, ან, ჩვენი საგარეოს მინისტრივით ისეთ სისულელეს წავიბურტყუნებთ, რომ ნორმალურ ადამიანს ეჭვი აღარ შეეპარება, რომ, მგონი, მართლა გასულები ვართ „მომსახურების ზონიდან“. და ეს ხდება მაშინაც, როცა „შეგვახურებს“ არა ის სტრუქტურა, რომელიც გვკურატორობს და რომელიც მართლა ღრმად არის ჩახედული ჩვენს საქმეებში, მართლა გვიფრთხილდება, მართლა...

მაგრამ, ზოგჯერ „თითის ქნევაში“ დასავლეთიდან ნამეტნავად აქტიურობენ ისინი, ვისაც არ ამოძრავებს ნამდვილად სახელმწიფო ინტერესები. ეს ბოლო პერიოდი ცოტა მეტი მოუვიდათ. რატომღაც რჩება შთაბეჭდილება ორკესტრირებულობისა. აბა, რატომ უნდა „გაუსკდეს ჩვენდამი სიყვარულის ბუშტი“ მაინდამაინც ახლა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრს? რა, აქამდე არ იცოდა, რომ ამ ქვეყანას, მათი „სიძის“ სამშობლოს, პრობლემები რომ აქვს პუტინის რუსეთთან?

მაინც რატომ გვიბედავენ, რატომ გვაკადრებენ ამდენს, ის ტიპები, ვინც არ წარმოადგენს ამერიკას თუ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას?

არ დაფიქრებულხართ ამ თემაზე, ჩემო ჭკუის კოლოფებო — მინისტრო ზალკალიანო, ელჩო ბაქრაძე და სხვებო და სხვებო? რატომ დუმხართ, ხელებდაკაპიწებულნი, დღე-ღამე რატომ არ გაქვთ გასწორებული და კორექტულად, დიპლომატიის სტანდარტების შესაბამისად, არ უხსნით ამ „არამკითხე მოამბეებს“, დასავლურ საზოგადოებას რა არის და სად არის თეთრი და სად — შავი?!

იმიტომ, რომ იციან, მათი მხრიდან თითის ნებისმიერ დაქნევაზე თქვენ... ჩაისვრით, დაიჭერთ სირაქლემის პოზიციას... დიახ, იმიტომაც გველაპარაკებიან ანჩხლი დედინაცვალივით.

ერთი მაგალითიც კი (მრავალთაგან) საკმარისია ამ ვითარების წარმოსადგენად:

ექსკონგრესმენი რასელი და მისი თითის ქნევა და მუქარები გახსოვთ? თუ გახსოვთ, რატომ არ წითლდებით იმის გამო რომ... გადაყლაპეთ, არ შეიმჩნიეთ? აი, მე მისი ყრანტალიც მახსოვს, ჩემი პასუხი და... თქვენი ჩასვრაც!

ახლა მისმა ადგილმონაცვლემ ამოიღო ხმა, „ფრონტერას“ — აფერისტების ბანდის ოფიციალურმა ლობისტმა... გავიდა რამდენიმე დღე და... გრუშეს რეპლიკა გამახსენდა ცნობილი სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“: „ისევ ჩაიფსი, მიხეილ?!“

დავაკონკრეტო მაგალითებით, ფაქტებით, თუ ისედაც ყველაფერი გასაგებია!!!

ერთი სიტყვით, გირჩევთ, თქვენც და ჩვენმა დეპუტატებმაც აიღოთ მაგალითი აშშ სენატისგან, მისი რესპუბლიკური ფრთისგან და როცა აქაური ოპოზიცია ხმაურს ატეხავს საპარლამენტო უმრავლესობის გაჯიქებაზე, ეეეე, სწორედ მაშინ უჩვენეთ ეს კადრები აშშ სენატის დარბაზიდან...



შენ კი ჩემო კუკური, ახლა დასცხე ტაში და შესძახე: ბრავო, სენატის უმრავლესობა! ბრავო, დონალდ ტრამპ!

ნუგზარ ფოფხაძე

„ლობიზმი“ პარტიათა არსობისა...

იყო ასეთი ქვეყანა, რომელსაც ერქვა საბჭოთა კავშირი.

რომელშიც საქმეები უმეტესწილად ქრთამის მეშვეობით კეთდებოდა.

ჩამოვიდოდა მოსკოვის ცკ-საგან დიდჩინოსანი და ატყდებოდა თბილისსა შინა დიდი გნიასი, არიქა, დიდი კაცია მოვლენილი, პატივისცემა სჭირდებაო და იყო ერთი გაწევ-გამოწევა...

აჭმევდნენ, ასმევდნენ, დასტობით საბჭოთა ფულს ჯიბეში ჩაუწყობდნენ (მაშინ გადარიცხვებგათეთრებები არ იცოდნენ) და ყარა-ყორუმს დიდის პატივით გაამგზავრებდნენ.

არ მოიქცეოდა თბილისი ასე, რაიმე შეეშლებოდა ან კიდევ ერთი კლანი აჯობებდა მეორეს პატივისცემაში, ქრთამის გაცემასა თუ დაბეზღებაში და მაშინვე შეცდომების დამშვებთა მიმართ გამოცხვებოდა კრემლის დადგენილება: „საქართველოს კომპარტიასა და მინისტრთა საბჭოში ნეგატიური მოვლენების შესახებ“.

იყო თანამდებობებიდან მოხსნა-გამოხსნა, დაჭერა-დაპატიმრებები.

ასე გადიოდა წლები და ერთ მშვენიერ დღეს დაინგრა მექრთამეობაზე დაფუძნებული ის ხუხულა, რომელსაც ერქვა საბჭოთა კავშირი.

საქართველო გახდა დამოუკიდებელი და...

ვაი, შენ ჩემო თავო! (როგორც ილია იტყოდა), გამოჩნდა ახალი მოდერნიზებული მექრთამეობის ფორმა, მოდერნიზებული სიტყვებით.

მექრთამეობა გამოდიფიცირდა, როგორც კორუფცია, ხოლო უფრო მაღალზე მაღალი დონის კორუფცია გაკანონიერდა და ეწოდა „ლობიზმი“.

ანუ როგორც პოეტი იტყოდა იმ შავბნელ სსრკ-ში: „წუთისოფელი ომია, ომი ფუტკრის და კრაზანის, აქლემის ქურდი ნემსის ქურდს ხვდება, და ციხეში აგზავნის“!

ახლა უკვე პარტიებად წოდებულნი კლანებმა თუ სექტებმა იწყეს რბენა აღმა-დაღმა და ეძებენ და ბანკებით ურიცხავენ ათასგვარი ჯურის „ლობისტს“ მათი მმართველობისას საქართველოს მოსახლეობიათვის წანაგლეჯ მილიონებს.

ჰოდა, იქაურ-აქაური „ლობისტებიც“ მყისვე თანხის გადარიცხვისთანავე აცხობენ ახალ-ახალ წერილებს გაღმა-გამოღმიდან საქართველოსადმი სუპერკრიტიკული რჩევა-დარიგებებით და ხშირად მკაცრი დამუქრებებითაც კი.

იმ დროს თუ მოსკოველი „მექრთამეები“(თუ ქრთამს არ მისცემდნენ, მაშინ) ნაკლად გვითვლიდნენ კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებას, ახლანდელი „ლობისტები“, თუ დაკვეთა მისცეს აქაურმა სახელისუფლებლო სკამს დანატრებულმა ე.წ. ოპოზიციონერებმა, გვაბრალებენ დემოკრატიისადმი ნაკლებ სწრაფვას.



ჰოდა, ვკითხულობ: შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი იცვლება თუ არა?

ედიშერ გვენეტაძე

ომბუდსმენი პენიტენციურ სამსახურს კანონდარღვევაში აღანაშაულებს

სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას თქმით, პენიტენციურმა სამსახურმა სისხლის სამართლის კანონი დაარღვია, როდესაც პატიმრებთან მისი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გაასაჯაროვა. მისივე თქმით, ამის გამო ომბუდსმენის აპარატი საჩივარს უშუალოდ იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ შეიტანს.

მმართველ გუნდში მოვლენათა განვითარებას ელოდებიან და კონკრეტული სამართლებრივი შეფასებისგან თავს იკავებენ.

„ჩემი ინფორმაციით, ნინო ლომჯარიას პატიმრებთან შეხვედრის შესახებ მედიისთვის გახდა ცნობილი. ამის შემდეგ გაკეთდა განცხადება პენიტენციურ სამსახურში. თუ საჭირო გახდება, დავამყარებთ დამატებით კომუნიკაციას როგორც ომბუდსმენთან, ასევე იუსტიციის მინისტრთან“, — აცხადებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი.

ნინო ლომჯარია ე.წ. მატროსოვის ციხეში ვანო მერაბიშვილსა და ირაკლი ოქრუაშვილს 23 იანვარს შეხვდა, ლომჯარიას ციხეში ვიზიტს წინ უძღოდა დაპირისპირება იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან, რომელმაც ადამიანთა უფლებების კომიტეტზე სახალხო დამცველის პენიტენციურ სისტემაში ჩატარებული მონიტორინგის შესახებ ანგარიშის განხილვისას იმაში დაადანაშაულა, რომ ლომჯარია პატიმრებთან არ დადის.

„ფრონტერას“ თანამშრომლები სახელფასო დავალიანების დაფარვას ითხოვენ

ნავთობმომპოვებელი კომპანიის „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“ თანამშრომლები სახელფასო დავალიანების დაფარვას ითხოვენ. ამ მიზეზით 100-მდე ადამიანი დედოფლისწყაროში შეიკრიბა. აქციის მონაწილეებმა ჭიშკართან ცოცხალი ჭაჭვი შეკრეს. ამბობენ, რომ ვიდრე დავალიანებები არ ჩაირიცხება, კომპანიას დედოფლისწყაროში ნავთობის მოპოვების და სამუშაოების გაგრძელების საშუალებას არ მისცემენ.

ადგილობრივები ამერიკელი კონრესმენის მარკუეინ მალენის წერილსაც გამოეხმაურნენ და მას პოლიტიკური უწოდეს. შეკრებილების თქმით, აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ფრონტერას“ გენერალურმა დირექტორმა, რომელიც ამჟამად ამერიკაში იმყოფება, შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანა კონგრესმენი მალინი.

კომპანიის მენეჯერის გიორგი ჯანიაშვილის ინფორმაციით, „ფრონტერას“ ხელმძღვანელობა მოიძიებს თანხებს და დავალიანებებს სრულად აანაზღაურებს.

აქციის მონაწილეებს დედოფლისწყაროს მერი შეხვდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, „ფრონტერას“ წინააღმდეგ სახელმწიფოს დავა საერთაშორისო არბიტრაჟში აქვს დაწყებული და იმედოვნებს, რომ პროცესი დასაქმებულების სასარგებლოდ დასრულდება. კომპანია „ფრონტერას“, 84 თანამშრომლის, 11-თვიანი, ჯამში მილიონ ლარამდე დავალიანება აქვს. თანამშრომლებმა კომპანია „ფრონტერას“ სასმართლოში ერთი თვის წინათ უჩივლეს.

საქართველოში კორუფციის დონე იმაზე დაბალია, ხოლო საგადასახადო კულტურა და მენტალიტეტი - იმაზე მაღალი, ვიდრე ამის შესაძლებლობას ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონე იძლევა

ეკონომიკის პოზიტიური კაპიტალი

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ Transparency International-მა ახლახან გამოაქვეყნა წლიური ინფორმაცია ანალიტიკოსებისა და მეწარმეების, დამოუკიდებელი ფინანსური და სამართალდამცავი ექსპერტების მიერ მსოფლიოს 180 ქვეყანაში კორუფციის აღქმის თაობაზე.

გამოქვეყნებული ინფორმაციით, საქართველო 2019 წელს კორუფციის აღქმის ინდექსით მსოფლიოში იკავებდა 44-ე ადგილს (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი კოსტა-რიკასთან, ჩეხეთთან და ლატვიასთან ერთად იყოფდა 44-ე-47-ე ადგილებს). საქართველოს მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობა 56-ია, რაც მართალია, 2 ქულით ნაკლებია 2018 წლის მონაცემებზე, მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატება არა მარტო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყნის საშუალო დონეს (35 ქულა), არამედ საშუალოდ მსოფლიო საშუალო დონის (43 ქულა) მაჩვენებელსაც.

აღსანიშნავია, რომ **პოსტსაბჭოთა 15 ქვეყნიდან საქართველოს აღნიშნული მაჩვენებლით უსწრებს მხოლოდ 2 ბალტიის სახელმწიფო** — ესტონეთი — მე-18 ადგილზეა (78 ქულა) და ლიტვა — 35-ე ადგილზე (60 ქულა). ბალტიის მესამე ქვეყანას, ლატვიას, საქართველოსნაირი ქულა აქვს დაგროვილი და, როგორც ზემოთ ითქვა, მასთან ერთად იყოფს 44-ე-47-ე ადგილებს.

ჩვენს უშუალო, სახმელეთო მეზობლებს საქართველოსთან შედარებით გაცილებით ცუდი მაჩვენებლები აქვთ: სომხეთი იმყოფება 77-ე ადგილზე (42 ქულა), თურქეთი — 91-ე ადგილზე (39 ქულა), აზერბაიჯანი — 126-ე ადგილზე (30 ქულა), ხოლო რუსეთის ფედერაცია — 137-ე ადგილზე (28 ქულა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს აღნიშნული ინდექსით უკეთესი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ევროკავშირის 7 სახელმწიფოს (იტალია, საბერძნეთი,

რათა პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს...

2017 წლის ბოლო ორ დღეში, ისევე როგორც 2018 წლის ბოლოს, ქონების ეროვნულმა სააგენტომ ჯამში 6 ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა, ხოლო 2019 წლის ბოლო ოთხ დღეში გამოცხადებული აუქციონების რაოდენობამ 13-ს მიაღწია. ერთ-ერთი გახმაურებული ელექტრონული ვაჭრობა ბოლოს 2019 წლის 31 დეკემბერს გამოცხადებული ანანოვების სასახლის გაყიდვა იყო, რომელიც 13 იანვარს დაიხურა და „ინვესტ ჯგუფმა“ 1,375,000 ლარად შეიძინა“, — რატომ წლის ყველაზე არასაქმიან დროში? სახელმწიფო ქონებისა და კულტურული მემკვიდეობის ძეგლების ელექტრონული ვაჭრობისთვის საახალწლო დროის შერჩევა მიანიშნებს თუ არა და კორუფციის რისკებზე ქვეყანაში და ხომ არ არის ეს კანონში არსებული ნაკლოვანება, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს, რათა პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს?

კანონში არ არის არავითარი მინიშნება თუ პუნქტი იმაზე, რომ არასაქმიან და არამოქმედ პერიოდში არ შეიძლება სახელმწიფო ობიექტის აუქციონზე გამოტანა, მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდება კითხვები, ხომ არ შეიძლება, რომ ეს ფაქტორი კორუფციის წისქვილზე უშვებდეს წყალს და ხელს უწყობდეს ტენდერების ჩუმად და სხვისი მიზნების სასარგებლოდ ჩატარებას.

„კომერსანტი“ ამ კითხვებით საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დეპუტატებს ესაუბრა. პარლამენტარები კითხვაზე, ხომ არ უწყობს კორუფციულ გარიგებას ხელს ის, რომ კანონში არ წერია არასაქმიან პერიოდში აუქციონებისა და ტენდერების აკრძალვის შესახებ, ერთხმად უპასუხებენ, რომ ამასთან დაკავშირებით კანონში რამე სახის ცვლილების აუცილებლობა არ არის.

„არც ერთ ქვეყანაში არ არის შეზღუდული აუქციონების და ტენდერების ჩატარების ნიშანდობლივი ვადები. ვისაც რამე ობიექტი აგულისყურებს, იმას ხელს არ ვუშლით ტენდერში მონაწილეობაში, რადგან ეს ხდება ონლაინ და დიდ წინაღობას არ წარმოადგენს მასში ჩართვა. თუ დასვენება არჩია ინვესტორმა ახალ წელს და გამოეპარა ტენდერი, მაშინ საყურადღებო ინვესტორი არ ყოფილადიდ წინაღობას იმაში, რომ 31-ში გამოცხადდეს აუქციონი და 13-ში დაიხუროს, ვერ ვხედავ. შესაბამისად, ვერც კანონში ვხედავ რამე რისკის შემცველობას“, — ასე ფიქრობს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ირაკლი მეზურნიშვილი.**

ამავე კომიტეტის წევრს **ისკო დასენს** მიაჩნია, რომ რეალურ ინვესტორს მეტი ყურადღებაც მოეთხოვება და, შესაბამისად, საახალწლო და არასაახალწლო დროის მიხედვით აუქციონების მორგება შესაძლებელ მყიდველებზე არ არის საჭირო და კანონში ამ კუთხით არაფერია შესაცვლელი.

„რაც შეეხება ელექტრონული ვაჭრობების ვადებს, ვერ ვიტყოდი, რომ ეს საფუძვლიანი პრობლემაა. არაა აუცილებელი, დაელოდო იმ დროს, როცა ინვესტორები მზად იქნებიან. ინვესტორი, ვისაც აქვს ფული და უნდა საქართველოში ამ ფულის ჩადება, ის ყოველთვის აქცევს ყურადღებას ელექტრონულ აუქციონებს, დროდადრო შედის და უყურებს იმას, თუ რა გამოდის აუქციონზე.

სადღესასწაულო დროში აუქციონების გამართვა - საკანონმდებლო ხარვეზი თუ კორუფციის წყარო

არის კანონში ისეთი მუხლები, რაც უნდა შეიცვალოს აუქციონებთან დაკავშირებით. მაგალითად, ჩაშლილი აუქციონის შემთხვევაში მას ხელმეორედ ატარებენ, თუმცა მგონია, მეორე ადგილზე გასულ მყიდველს უნდა შესთავაზონ ეს ობიექტი, ამით დროსაც მოვიგებთ და უტყუარი ინვესტორი შეიძენს ამ ობიექტს. მიმაჩნია, ამ მიმართულებით უნდა შეიცვალოს კანონი“, — ამბობს **ისკო დასენი.**

ეკონომიკური კომიტეტის კიდევ ერთმა კანონმდებელმა **რევაზ არველაძემ** აღნიშნა, რომ საკუთარი მიზნების გამტარებელი მისთვის ხელსაყრელი დროის შეურჩევლადაც მოახერხებს ამას და სულაც არ არის ამისთვის კანონის გადახედვა საჭირო ან პირდაპირი აღნიშვნა იმისა, რომ წლის რაღაც დრო არ შეესაბამება მოქმედი ტენდერებისთვის.

„ვიღაცამ თავის მიზნები რომ გაატაროს, ამისთვის სულაც არ არის საჭირო არამოქმედი თუ მოქმედი დრო აუქციონისთვის. ის თუ ვინმეს მოელაპარაკება, მოახერხებს კიდეც რომ გაამარჯვებინოს ტენდერში. თუმცა, ასეთი რამე ჩვენი ხელისუფლების პირობებში არ ხდება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. მე მგონია, რომ ამისთვის რამე საკანონმდებლო ცვლილება საჭირო არ არის. გარიგებაში მონაწილე სწორედ იმას მიაღებინებს მონაწილეობას და ისეთ პირობებს შექმნის, რომ გაამარჯვებინებს და ფულსაც აიღებს. ყველა სისტემაში არსებობენ ისეთი პიროვნებები, რომელთაც დასვამ რაღაც თანამდებობაზე და იწყებს იმაზე ფიქრს, ფული როგორ გააკეთოს. საქართველოსთვის ეს არ არის დამახასიათებელი, ეს დამახასიათებელია პიროვნებებისთვის და არა ქვეყნებისთვის“, — ამბობს **რევაზ არველაძე.**

ქონების ეროვნულმა სააგენტომ არაერთი ობიექტი გამოიტანა გასაყიდად მას შემდეგ, რაც 2019 წლის 29 ნოემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **ნათია თურნავამ** მასშტაბური პრივატიზაციის პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ დაანონსა. პრივატიზების ეს ტალღა ქართული ეკონომიკისთვის ახალი ბიძგი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად მოლოდინისა, პრივატიზაციამ საყოველთაო ხასაითი ვერ მიიღო, რადგან საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტებიც საინვესტიციო მომხიბვლელობით არ გამოირჩეოდა. ამ სიიდან იშვიათი გამონაკლისი იყო ანანოვების სასახლე, რომლის აუქციონზე გატანა სამინისტრომ ნაჩქარევად, რატომღაც 31 დეკემბერს, ბიზნესისთვის არამოქმედ დროში გადაწყვიტა.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, 77,500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ისტორიული ნაგებობა ბიზნესმენი ძმების დუგლაძეების საკუთრებაში გადადის. სამეწარმეო რეესტრში დუგლაძეების სახელი არ დასტურდება. საბუთებში შპს „ინვესტ ჯგუფის“ 100%-იანი წილის მფლობელი ნინო ლორთქიფანიძეა, კომპანიის დირექტორი კი — დავით კობახიძე. გავრცელებული ინფორმაციით, ნინო ლორთქიფანიძე ბიზნესმენ დუგლაძეებთანაა დაკავშირებული.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ფრანგი ძმების ანანოვების მიერ აგებული შენობა, თავდაპირველად საცხოვრებელი სახლი იყო, მოგვიანებით სასტუმროდ გადაკეთდა, დაბოლოს სამთავრობო ადგილსამყოფლის დანიშნულება შეიძინა. მოგვიანებით, ცნობილ მეღვინეებსა და ხის გადამამუშავებელი საწარმოს მფლობელებს ქონება ჩამოართვეს და სახელმწიფოს გადასცეს. სასახლის ისტორია საყურადღებო განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მას სამთავრობო ადგილსამყოფლის წოდებულება მიენიჭა, წლების მანძილზე ადგილსამყოფელი უმაღლესი რანგის სტუმრებს მასპინძლობდა. სამთავრობო რეზიდენციამ 2012 წლიდან პატრიოტთა ბანაკის ფუნქცია შეიძინა, ეს წოდებულება ანანოვების სასახლეს 2014 წლამდე ჰქონდა, ხოლო მას შემდეგ ქონება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე დასტურდება.

მარიამ მორგოშია

ხორვატია, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი).

საქართველოს ქულათა რაოდენობა აღნიშნული ინდექსით ბოლო 4 წელიწადში (2015 წელთან შედარებით) 4-ით გაიზარდა. შედარებისათვის ვიტყვით, რომ ამ ინდექსით პირველ სამეულში მყოფი ქვეყნებიდან ფინეთმა დაკარგა 5 ქულა, ახალმა ზელანდიამ – 4 ქულა, დანიამ კი – 3 ქულა. თუ წინა, 2018 წელთანაც მოვახდენთ შედარებას, მაშინ დავინახავთ, რომ საქართველოს 2-ქულიანი კლება მოხვდა ისეთი ქვეყნების „ფარვატერში", როგორებიცაა კანადა (-4 ქულა), საფრანგეთი (-3), გაერთიანებული სამეფო (-3) და აშშ (-2 ქულა).

სხვა მრავალ ფაქტორთან, გარემოებასთან და საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურისა და მენტალიტეტის დონესთან ერთად **კორუფციის აღქმის ინდექსს დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე,** მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ.

რაც უფრო მაღალია ქვეყნის ერთ სულზე წარმოებული მშპ, მით უფრო მაღალ ადგილს იკავებს ქვეყანა მსოფლიო რეიტინგლისტში აღნიშნული ინდქსით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მით უფრო დაბალია ქვეყანაში კორუფციის ელემენტები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, ეკონომიკური განვითარების მხრივ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის დანიის (მშპ ერთ სულზე – 52.1 ათასი აშშ დოლარი, ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით) მიღებული ქულების რაოდენობა თითქმის 6-ჯერ სჭარბობს მსოფლიოში ერთ-ერთი ღარიბი ქვეყნის იემენის (2.4 ათასი აშშ დოლარი) მიერ მიღებულ ქულებს (15 ქულა). თუ წარმოვიდგენთ, რომ ეკონომიკურ ზრდასა და კორუფციის აღქმის ინდექსს შორის არის წრფივი დამოკიდებულება, მაშინ უაღრესად საინტერესო მოდელი შეგვიძლია მივიღოთ: **მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის ზრდა დაახლოებით ყოველი 700 დოლარით იწვევს კორუფციის აღქმის ინდექსის ცხრილში ქულათა მატებას თითო ქულით,** ანუ რაც იგივეა, თუ ვიტყვით: **თითო ქულით კორუფციის ინდექსის გაუმჯობესება შეიცავს ქვეყნის თითოეულ მცხოვრებზე მშპ-ის ზრდის დაახლოებით 700-დოლარიან პოტენციალს.**

აღნიშნული პროპორციებით თუ ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ საქართველოს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (დაახლოებით 12 ათასი აშშ დოლარი) იძლეოდა მხოლოდ იმის შესაძლებლობას, რომ მას ჰქონოდა 29 ქულა და ნაცვლად ფაქტობრივი 44-ე ადგილისა, დაეკავებინა დაახლოებით 130-ე ადგილი – „სადღაც" ტოგოსა და მალის შორის.

მაგრამ თუ ვიხელმძღვანელებთ საქართველოს მიერ დაგროვილი ქულებით, ამ რაოდენობის ქულებისათვის „ავთენტური" უნდა იყოს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 30 ათასი აშშ დოლარი, ანუ ფაქტობრივზე 2.5-ჯერ მეტი. ამ პროპორციის შემთხვევაში საქართველო ეკონომიკური განვითარების დონით დაიკავებდა ადგილს ასევე „სადღაც" პოლონეთსა და სეიშელის კუნძულებს შორის – თითქმის იმავე ადგილს, რაც მას მიეკუთვნა კორუფციის აღქმის ინდექსით, ნაცვლად ფაქტობრივად დაკავებული 102-ე ადგილისა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც მისი პოზიცია კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა – ნაცვლად ამჟამინდელი მეცხრე ადგილისა, მეოთხე ადგილს (ბალტიის ქვეყნების შემდეგ).

მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოში კორუფციის დონე იმაზე დაბალია, ხოლო საგადასახადო კულტურა და მენტალიტეტი იმაზე მაღალი, ვიდრე ამის შესაძლებლობას ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონე იძლევა. ეს კი ის პოზიტიური კაპიტალია, რომელიც შეიცავს ეკონომიკის უფრო სწრაფი განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დაჩქარებული ზრდის პოტენციალს.

ვფიქრობ, ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც გამოვიტანე კორუფციის აღქმის ინდექსზე ახლახან გამოქვეყნებული წლიური ანგარიშიდან – იმის გათვალისწინებით, რომ კორუფციის აღქმა და ობიექტური შეფასება საკმაოდ რთული ამოცანაა, ხოლო მისი „ჭეშმარიტების ბოლო და ერთადერთ ინსტანციად" აღქმა და გამოყენება ნამდვილად არ იქნებოდა გამართლებული...

იოსებ არჩვაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გაზეთ „საქ. რესპუბლიკის" ეკონომიკური ექსპერტი.

ცალკეული დასავლელი პოლიტიკოსების კრიტიკული შეფასება, ანალიტიკოს ამირან სალუქვაძის განცხადებით, ვერ გახდება საქართველოსთვის სანქციების დაწესების საფუძველი. მისი თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას" სიმშვიდის საფუძველი უნდა ჰქონდეს. როგორც სალუქვაძე აცხადებს, დასავლელ პოლიტიკოსებს უნდა ესმოდეთ, რომ საქართველოში საარჩევნო წელი დაიწყო და მიუღებელია რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლო ან საწინააღმდეგო განცხადებების ასე ორკესტრირებულად გაკეთება.

გვესაუბრება ამირან სალუქვაძე.

ევროდეპუტატებისთვის მთავარია არა სიტუაციაში გარკვევა, არამედ პრეტენზიების ხმამაღლა გამოთქმა!

– უკვე მეორედ მიიღო გიორგი გახარიას ხელისუფლებამ კრიტიკული წერილები კონგრესიდან. რას ემსახურება ხელისუფლების მისამართით ბოლო დროს ამერიკელი კონგრესმენების მხრიდან გახშირებული კრიტიკული წერილები?

– საჯარო წერილები და საჯარო კრიტიკა რომ ცუდია, ორი აზრი არ არსებობს. კონგრესმენი კიზინგერი სულ ახლახანს იმყოფებოდა საქართველოში, მონაწილეობდა ბათუმში ჩატარებულ თავდაცვის საერთაშორისო კონფერენციაში და მსგავსი განცხადებები არ გაუკეთებია. ისე, საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრია და, ვფიქრობ, იმ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რომლებსაც მას აწვდიან, გულწრფელია და საქართველოსადმი კეთილი განწყობები აქვს.

რაც შეეხება კონგრესმენ მალინს, რომელიც „ფრონტერასთან" დაკავშირებით აკეთებს განცხადებებს, ვიცით რა, ამ კომპანიის საქმიანობის საკმაოდ საეჭვო და სკანდალური დეტალები, მის ადგილას თავს შევიკავებდი ასეთი განცხადებებისგან, მით უმეტეს, რომ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში სასამართლო დავა მიმდინარეობს. ევროდეპუტატების გამოსვლები კი არ მიმაჩნია კორექტულად იმ სიტუაციაში, როცა პრეტენზიების ადრესატებს პასუხისთვის სათანადო დრო არ ჰქონდათ.

გამოვიდა, რომ მათთვის მთავარი არა სიტუაციაში გარკვევა და პასუხების მოსმენა, არამედ პრეტენზიების ხმამაღლა გამოთქმა იყო. ქართული დელეგაციის წევრთა პასუხები, შესაბამისად, არადამაჯერებელი იყო და იქ მყოფ აუდიტორიაზე პოზიტიურ გავლენას ვერ მოახდენდა. თავად რა მიზნებს ისახავდნენ, ეს ერთია, მაგრამ, ვფიქრობ, კარგად უნდა ესმოდეთ, რომ საქართველოში საარჩევნო წელი დაიწყო და მიუღებელია, რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლო ან საწინააღმდეგო განცხადებების ასე ორკესტრირებულად გაკეთება.

გუშინ გავრცელდა როგორც ამ, ისე სხვა დეპუტატების განცხადებები და დაინტერესებულ ადამიანებს მოვუწოდებ, გაეცნონ. სირცხვილია, როცა უცხოელი ევროდეპუტატი გვასწავლის, რომ ქართველებს ერთი სამშობლო გვაქვს და ევროპარლამენტი პოლიტიკური ქულების დასაწერ არენად არ უნდა ვაქციოთ.

– ხელისუფლებამ ამერიკელი კონგრესმენების კრიტიკას შეფასება უკვე მისცა და კონგრესმენები, ისევე, როგორც ევროპარლამენტარები „ნაციონალური მოძრაობის" მეგობრებად, ლობისტებად და თანამშრომლებადაც კი მოიხსენია. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ნაციონალების გავლენა ჩვენს დასავლელ პარტნიორებზე?

– ადრე ბევრჯერ მითქვამს, რომ ოპოზიციურ ძალებს დასავლეთში გაცილებით მეტი რესურსი ჰქონდათ და აქვთ, ვიდრე მმართველ პოლიტიკურ ძალას. ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა, რომ ოკუპაციის პირობებში და ევროინტეგრაციის ურთულეს გზაზე მდგომი სახელმწიფო საგარეო არენაზე რესურსების გაერთიანებას ვერ ახერხებს. ასევე, ქვეყნის პრობლემაა, როცა პოლიტიკურ ძალებს შორის ასეთი მძაფრი დაპირისპირებაა და მუდმივად აქვთ რევანშის შიში. ჩვენთან არ არის ჯანსაღი, განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკური პროცესი.

თქვენ გინახავთ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებამდე ბალტიისპირეთის ქვეყნების პოლიტიკური ძალების დაპირისპირება ევროსტრუქტურებში, ან ვინმეს ვაშინგტონში ქვეყნის საწინააღმდეგოდ სანქციების დასაწესებლად წერილი მიეწეროს? ის, რომ ენმ-ს ან სხვა პარტიებს მეტი გავლენა აქვთ დასავლეთში და ხელისუფლება ვერ ახერხებს თავისი სათქმელის მიტანას პარტნიორებამდე, ხელისუფლების ბრალია.

ესეც ხომ შიდა საინფორმაციო სივრცე არაა? ვინ უშლით, დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობები, ქვეყნის შიგნით მოღვაწე დიპლომატებთან იქონიონ მეტი აქტიური კონტაქტები როგორც დიპკორპუსთან, ასევე ევროსტრუქტურებთან, მეგობარი ქვეყნების პოლიტიკოსებთან, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ანალიტიკურ წრეებთან?!

– რამდენად ადეკვატურად რეაგირებს ხელისუფლება დასავლელი პარტნიორების კრიტიკაზე. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული, მაგრამ მთავარია ოფიციალური ვაშინგტონის განცხადება და ის მხარდაჭერა, რაც ქვეყანას აშშ-ის მხრიდან აქვს", – ასეთია ხელისუფლების პასუხი...

– ხელისუფლების ეს რეაქცია შიდა ბაზარზეა გათვლილი და ვერ იმუშავებს ვერც კონგრესში, ვერც ევროპარლამენტში. უნდა გააცნობიერონ, რომ იმის მიუხედავად, ეთანხმებიან თუ არა, ასეთი განცხადებებისგან თემა იქმნება, თემებისგან პროცესი, წვეთი ქვა ხვრეტს, ბალახი კლდეს ხეთქავს. ამიტომ მმართველმა გუნდმა დასკვნები უნდა გამოიტანოს, ასევე უფრო გააქტიურდნენ საერთაშორისო არენაზე. რაც შეეხება თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტის, კონგრესის, ევროსტრუქტურების ოფიციალურ პოზიციებს, ისინი განსხვავებულია და საქართველოს მხარდამჭერია.

– როგორ ფიქრობთ, დასავლეთის მხრიდან ასეთი მწვავე კრიტიკა შეიძლება გადავიდეს კონკრეტულ მოქმედებებსა და სანქციებში?

– არა დასავლეთის, არამედ ცალკეული პოლიტიკოსების კრიტიკა. შესაბამისად, სანქციებს არ მოველი არც ამერიკის, არც ევროკავშირის მხრიდან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას" სიმშვიდის საფუძველი უნდა ჰქონდეს.

– ფიქრობთ, რომ დასავლეთის მხრიდან გაჟღერებული კრიტიკა პროპორციული არჩევნების ჩაგდების გამოძახილია? თუ ამას აქვს სხვა მიზეზი, ვთქვათ – გიორგი გახარიას რუსეთის მოქალაქეობა, ან თუნდაც ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა?

– გიორგი გახარია 2016 წლიდან აღარაა რუსეთის მოქალაქე. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, სადმე, რომელიმე კანონში წერია, რომ მმართველი პარტიის ლიდერი აუცილებლად პრემიერი უნდა იყოს? მე მის ადგილას დავიკავებდი პრემიერის პოსტს, სალაპარაკო რომ არ ყოფილიყო. როგორ ფიქრობთ, ენმ-მა რომ გაიმარჯვოს, მიხეილ სააკაშვილს არ ექნება გავლენა თავის პარტიაზე? ან ახლა არ აქვს? თუ საპარლამენტო უმცირესობაზე სხვა ქვეყნიდან არაფორმალურად ზეგავლენა შეიძლება და მმართველი პარტიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს, მმართველი გუნდის საქმიანობა წარმართოს?

„ქართული ოცნების" პრობლემაა ამ საკითხებზე სათანადოდ რომ ვერ უპასუხებს. არც საარჩევნო სისტემის მოდელია დასავლეთის ან რუსეთის საქმე. როცა „ოცნებამ" ეს იდეა გაახმიანა, იმავე დღეს ვთქვი ინტერვიუში, რომ არ მიმაჩნია მართებულად, მაგრამ თუ ასე სურთ, ვცადოთ-მეთქი. წელიწადია, ვწერ იმ მოდელზე, რომელზეც 2008-ში უნდა გადავსულიყავით, კერძოდ 100/50-ზე. ასე რომ, ჩემთვის ეს მოდელია მისაღები. ბევრი ქვეყანა გადავიდა ამ პროპორციაზე – ორი მესამედი ერთ მესამედზე.

მოკლედ, ქვეყანას არ შეიძლება პრეტენზია წაუყენო საარჩევნო სისტემის გამო. პრეტენზიები შეიძლება, იყოს საარჩევნო კანონმდებლობასთან და არჩევნების გამჭვირვალეობასთან დაკავშირებით. ხოლო, შერეული სისტემა იქნება, პროპორციული თუ სრულად მაჟორიტარული, ეს ჩვენი ქვეყნის გადასაწყვეტია. პრეტენზია შეიძლება, ჰქონდეს მოსახლეობას, ამომრჩეველს, შეუსრულებელი დანაპირების გამო. ამის მიუხედავად, ცალკეული კონგრესმენების თუ ევროდეპუტატების განცხადებები მმართველი გუნდისათვის ყურადსაღები უნდა იყოს.

– „ჩვენი ხელისუფლება თვალდათვალ კარგავს დასავლეთთან დიალოგის გზებს და ეს, პირველ რიგში, სახელმწიფოებრივად არის სახიფათო", – ასეთი შეფასებები ისმის საქართველოში ანალიტიკოსების მხრიდან. რამდენად ეთანხმებით მსგავს შეფასებას და დასავლეთიდან წამოსული გზავნილები შეიძლება თუ არა განვიხილოთ, როგორც ამერიკის მთავრობის ოფიციალური განცხადება?

– ამერიკის მთავრობის ოფიციალური პოზიცია ამერიკის მთავრობის ოფიციალურ განცხადებებშია. როცა დემოკრატიის ხარისხის გამო შენიშვნები აქვთ, ბიძინა ივანიშვილს და საქართველოს კი არა, ზესახელმწიფოებს არ ერიდებიან. მაგრამ, განვმეორდები, „ქართული ოცნება" ამ განცხადებებს მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს.

თამთა ქარჩავა

საქართველოში 140 ამერიკული კომპანია მუშაობს!

„დღეს აშშ-ის კაპიტალით საქართველოში შექმნილი 276 კომპანიიდან ნახევარი — 140 კომპანია ბოლო რამდენიმე წელიწადშია შემოსული. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ევროპულ კომპანიებზე. 264 გერმანული კომპანიის თითქმის ნახევარი, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, ჩვენს ბაზარზე 2013 წლის შემდეგ შემოვიდნენ; 68 პოლონური კომპანიიდან 50-ზე მეტი ასევე ბოლო პერიოდშია შემოსული და ა.შ. როგორც ეკონომიკის მინისტრი, ყოველდღიურად ვაწყდებით, ვმუშაობთ ამ კომპანიებთან, გვაქვს პირისპირ შეხვედრები, შემოგვყავს და ვაკვირდებით, როგორ ასაქმებენ აქ ადამიანებს, ჩვენს მოქალაქეებს. მაგალითად, ამერიკული არქიტექტურული კომპანია „Base4“, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც შემოვიდა, ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს,“ — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ.

მინისტრის განცხადებით, აშშ-სთან პირდაპირი ფრენების მოლაპარაკებებისას ერთ-ერთი დასაბუთება იყო ინვესტიციების, ინვესტორების, ამერიკული კომპანიების და ამერიკელი ბიზნესმენების გაზრდილი რაოდენობა, ვინც ჩვენთან ჩამოდის. **„მოვუწოდებთ, რომ პირდაპირ იკონტაქტონ იმ ამერიკულ კომპანიებთან, ვინც ჩვენთან მოღვაწეობს — 300-მდე კომპანიაა და გაარკვიონ, რა პრობლემები დგას მათ წინაშე. მე დარწმუნებული ვარ, რომ რეალური სურათი, რაც მათ შეიძლება დაინახონ ასეთი უტყუარი ინფორმაციის შედეგად, აბსოლუტურად განსხვავებული იქნება და დარწმუნდებიან იმაში, რაშიც მათი კომპანიები უკვე დარწმუნებულები არიან, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია რეგიონში ინვესტიციების განხორციელების კუთხით და ამაზე საუკეთესო პასუხია თვითონ ის ამერიკული კომპანიები, რომლებიც ჩვენთან მოღვაწეობენ,“** — განაცხადა ნათია თურნავამ.

ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი

ვიცე-პრემიერის, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ბრძანების საფუძველზე საქართველოში ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი დაფუძნდა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მსგავსი ცენტრი საქართველოსთვის ინოვაციურია — ასეთი მოდელის და ფუნქციების ორგანო საქართველოში დღემდე არასდროს ყოფილა.

ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის მიზანი საქართველოში ნარკოვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკული მეთოდოლოგიების დანერგვა, საერთაშორისო დონეზე შესაბამის ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლა და ანგარიშგების წარმოება იქნება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული და თანამედროვე გამოწვევების საპასუხო ანტინარკოტიკული პოლიტიკის განვითარებას. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრთან უკვე 5 წელია თანამშრომლობს.

საქართველოში ცენტრს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანი — იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი უხელმძღვანელებს, ანგარიშვალდებული კი, ის ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან იქნება, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს და რომელშიც სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, შედიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები, ასევე დარგის ექსპერტები.

ახალგორში მცხოვრებნი პენსიონერებისთვის „გამშვები პუნქტი“ გაიხსნა

დე ფაქტო რეჟიმმა ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრებ პენსიონერებს საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე პენსიის ასაღებად გადასვლის უფლება მისცა. ადგილობრივების თქმით, უკან დასაბრუნებლად ათდღიანი ვადა მისცეს. მიკროავტობუსი, რომელსაც პირველ ეტაპზე 10 პენსიონერი გადაჰყავდა, სოფელი ოძისი დატოვა და წეროვანისკენ გაემგზავრა.

პენსიოენერებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ სპეციალური საშვები აქვთ. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში რეგისტრირებულია 150 პენსიონერი, მათგან მხოლოდ ახალგორში 72 პენსიონერი ცხოვრობს. სპეციალური საშვი გუშინ საღამოს მონაცემებით 30-მდე პენსიონერს ჰქონდა აღებული, დანარჩენ პენსიოერებზე კი, არსებული ინფორმაციით, საშვები დღეს დაჩქარებული წესით გაიცემა და მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსნება ე.წ. გამშვები პუნქტი. სამშაბათიდან კი ე.წ. გამშვები პუნქტი ისევ ჩაიკეტება და იმ პენსიონერებს, ვინც ახლა ვერ შეძლებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას, ამის შესაძლებლობა მხოლოდ ორი თვის შემდეგ ექნება.

დაკავებულია დოდო გუგეშაშვილის მკვლელობის მცდელობასა და მისი შვილის მკვლელობაში ბრალდებული

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის და თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების **შედეგად, 2018 წელს თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის გახმაურებული საქმე გახსნილია,** — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ კახა საბანაძემ განაცხადა.

მისი თქმით, სამართალდამცველებმა გრიგოლ გუგეშაშვილის განზრახ მკვლელობისა და დოდო გუგეშაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი პირი დააკავეს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულია 1975 წელს დაბადებული ზ.მ. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2018 წლის 7 თებერვალს თბილისში, დოდო გუგეშაშვილის დროებით საცხოვრებელ სახლში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულმკერდის არეში სხეულზე დაზიანებები მიაყენა დოდო გუგეშაშვილს და მის შვილს — გრიგოლ გუგეშაშვილს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. თავად დოდო გუგეშაშვილი, დროული სამედიცინო დახმარების შედეგად, სიკვდილს გადაურჩა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო და ოპერატიული სამმართველოების და თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად დადგინდა აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც 2020 წლის 24 იანვარს თბილისში ბრალდებულის სახით იქნა დაკავებული.

განზრახ მკვლელობისა და ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, — განაცხადა კახა საბანაძემ. დოდო გუგეშაშვილის ოჯახზე შეიარაღებული თავდასხმა 2018 წლის 7 თებერვალს დილომში, მის საცხოვრებელ სახლში მოხდა. თავდასხმის შედეგად დაიჭრა თავად დოდო გუგეშაშვილი, მისი 33 წლის ვაჟი ნოდარ გუგეშაშვილი კი ადგილზე გარდაიცვალა.

ზაზა სარალიძემ მიხეილ კალანდიას ადვოკატს ფურცლები შეაყარა და სასამართლო დარბაზი დატოვა

ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამამ ზაზა სარალიძემ მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესი გუშინაც პროტესტის ნიშნად დატოვა.

მიხეილ კალანდია ითხოვდა, რომ ზაზა სარალიძისთვის სასამართლოზე დასწრება მოსამართლეს აეკრძალა, მოსამართლემ არ დაუკმაყოფილა თხოვნა, თუმცა, დღეს უკვე შვილმკვდარმა მამა განაცხადა, რომ სხდომებს აღარ დაესწრება. მან დარბაზის დატოვებამდე ადვოკატ ზურაბ თოდუას ფოტოები შეაყარა, რის შემდეგაც ის სხდომათა დარბაზიდან გაიყვანეს. სარალიძის თქმით, უფლებადამცველების მიმართ აგრესია იმიტომ აქვს, რომ მის შვილზე ამბობენ, მოკვლის ღირსი იყოო.

დააკავეს ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში გაასაღა აშშ-ის ყალბი 50-დოლარიანი კუპიურები. გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საერთო ჯამში, ამოღებულია 16 550 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი კუპიურა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

„ლიბერთის“ თანამშრომლები გარდაცვლილების პენსიებს ითვისებდნენ

ზუგდიდში დაკავებული ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მიცვალებულთა პენსიის მითვისებაზე დააკავეს, „ლიბერთი ბანკის“ ზუგდიდის ფილიალის თანამშრომლები იყვნენ.

„დაახლოებით, ერთი წლის წინათ ბანკის შესაბამისი დეპარტამენტიდან გაუშვეს მთელი ჯგუფი. მათ ეგონათ, რომ ამით მორჩებოდა ყველაფერი, თუმცა 2-3 დღის წინათ პოლიციამ ყველა მათგანი დააკავა“, — აცხადებს ბანკის ერთ-ერთი თანამშრომელი. ზუგდიდში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დაახლოებით, ხუთი პირი დააკავა. მათ ბრალად ედებათ მიცვალებულთა სახელით პენსიის მისაკუთრება. დაკავებულებს შორის არიან ქალებიც. გაქცეულია ჯგუფის ხელმძღვანელი ბ.ჯ. ჯგუფმა 70 ათასი ლარი მიითვისა.

ნუთუ მართლა ჩვენი ხალხის ბუნებაშია

დაიწყო 2020 წელი და ფიქრებიც აფორიაქდნენ — როგორ განვითარდება ნეტავ ამ წელიწადში ჩვენი ცხოვრება, რა იქნება, რა გველის... ნათელმხილველი არა ვარ და, რა თქმა უნდა, წინასწარ ვერ ვიტყვი, რა როგორ იქნება, მაგრამ ის, რაც ყველამ იცის, მეც ვიცი და ვლელავ...

არჩევნები, არჩევნები. თუმცა, ამ წუთში იმაზე უფრო ვფიქრობ, რა უცნაურად, როგორ მიედინება საქართველოს ისტორია... ის ისტორია, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა გავიარეთ და რომელიც აწი გვაქვს გასავლელი. თითქოს სულ ახლახან იყო, ბელადებს რომ ლექსებს ვუძღვნიდით, სცენაზე გამოვდიოდით პატარა დეკლამატორები და მთელი გულით და სულით გავყვიროდით ლენინისა და სტალინის სადიდებელ სტროფებს. ახლა ის პოეტები ვინ იყვნენ, მათზე რომ წერდნენ?! არა მგონია, რომ მხოლოდ თავის თავს იცავდნენ და წერდნენ იმას, რაც არ სიამოვნებდათ და რაც არ უნდა ეწერათ.

კარგა ხანს გრძელდებოდა ეგზალტირებული ჩვევებით „დამშვენებული“ ჩვენი ცხოვრება ჯერ კიდევ 1985-86 წლებში, კარგად მახსოვს, ერთმა მშობელმა მომაკითხა, ჩემი ბავშვის სკოლაში „ლენინის ოთახს“ ხსნიან და... რაღა ბევრი გავაგრძელო და დავუწერე ლექსი, რომელიც თურმე ძალიან მოწონებიათ. არც მახსოვს ახლა რა ლექსი იყო, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ მისი შექმნის დროს ვფიქრობდი ბავშვზე და მის ემოციურ შესაძლებლობაზე, ვფიქრობდი, რაც შეიძლება კარგად წარმოჩენილიყო ის — ბავშვი. დიახ, ასე იყო. ლენინ -სტალინის (ბოლოს მხოლოდ ლენინის) იდეებს ნერგავდნენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე და არავინ ფიქრობდა იმ ზარალზე, რაც ამ განუხორციელებელ იდეებს მოჰქონდა, არავინ ფიქრობდა ადამიანზე, მის შესაძლებლობებზე და ზოგადად იმ სიყალბეზე, რომელსაც უღელვივით გვადგამდნენ არათუ მხრებზე, არამედ სულშიც და გულშიც გვჩრიდნენ. ეს არ არის სასწაული, სასწაული ის არის, რომ ყოველივე ამას და ასეთ გარემოს მშობლიური ოჯახივით შევეჩვიეთ... შეჩვევა კი საშინელებაა. და ახლაც გული მისკდება, რა ცხოვრებას ვეწეოდით და რა ცხოვრებას ვეწევით ეს ბოლო ოცდაათი წელიწადი? ერთმანეთს გადაკიდებული პოლიტიკოსების დაუსრულებელი ქიშპისა და ლანძღვა -გინების შხამიან მორევში ვართ ჩაფლულნი.

ვინ არიან ეს პოლიტიკოსები და რა უნდათ მათ? ძნელია პასუხის გაცემა, ძნელია მათი როლისა და დანიშნულების ახსნა, მაგრამ სრულებითაც არ მიჭირს იმ ადამიანების მიგნება, ვინაც ისინი გააპოლიტიკოსა. დიდი როლი მათ წარმოჩენაში ჟურნალისტებს ეკუთვნით... ხალხიც რომ გულდასმით უსმენს მათ ბუნდოვან აზრებს, ტაშსაც უკრავს, ბოლოს კი არჩევნებში ხმას აძლევს, თავად ხმის მიმცემნი კი უხმოდ და დამუნჯებულნი რჩებიან, მაგრამ ამას ძალიან, ძალიან გვიან აცნობიერებენ, ან სულაც ვერ აცნობიერებენ... ქვეყანა კი ასე ღებულობს „ავტორიტეტულ“ პოლიტიკოსებს, რომელთა თავიდან მოცილება ძალიან ძნელი კი არადა, შეუძლებელია, რადგანაც „ხალხის რჩეულები“ არიან. ამდენად, დიდია მათი ძალა და კიდევ უფრო დიდია სწრაფვა ხელისუფლებისკენ. რა უნდა ქნა! ამ დროს, ძალიან კარგად ვიცით, ვინც არიან, რა უნდათ, რა ამოძრავებთ. ადვილი ცხოვრებაა მათი მიზანი და ყველაფერი ხალხის ზურგზე გადადის... ეს ხომ მემკვიდრეობით დაგვიტოვეს კომუნისტური წყობილების ბოლო ეტაპის „რაინდებმა“ — რაიკომის მდივნებისა და მათი ამფსონების კლანმა. დღევანდელი პოლიტიკოსების უმეტესობაც იგივენი არიან, საქართველოს ვითომცდა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ხელში რომ ჩაიგდეს უზარმაზარი ქონება. საწყალი ხალხი სამმანეთიანი (თუ ოცდაათიანი?) ვაუჩერებით გაისტუმრეს, იმ ვაუჩერებით, რომლითაც არც არასდროს არავის არ უსარგებლია! ასე მივიღეთ კომუნისტების მემკვიდრეები და შთამომავლები, რომლებიც, სხვათა შორის, წინაპრებზე უფრო ნიჭიერები და მარჯვენი აღმოჩნდნენ ქონების მოპოვებასა და გამდიდრებაში, უფრო ადვილად დაივიწყეს ხალხისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობა და პასუხისმგებლობა, უფრო ეშმაკურად და მოხერხებულად მოისხეს დემოკრატობის მანტიები და სწორედ ასეთი შენიღბვით, ნაცარქექიობით და მეზღაპრეობით ადვილად დაუბრმავეს თვალები ხალხს. ეს ჩვენი ბრძენი ხალხიც რა უცნაური აღმოჩნდა, სწრაფცვალებადი, მოუთმენელი ბუნებისანი, ზოგჯერ მალემრწმენნი: ზოგჯერ ურწმუნონი, ხშირად უმადურნიც კი... სამწუხაროდ, ძნელია ვინმესი გამტყუნება, ძალიან რთული ეპოქა დაგვიდგა. დღეს რომ არის საჭირო, ის ხვალ არ გამოგვადგება და ვინ განჭვრეტს, რა არის დღეს საჭირო? ვაი თუ, სწორედ ის არის დღეს საჭირო, რაც ხვალისთვის გადავინახეთ?

ვწერ ამ სიტყვებს და ვფიქრობ, ნუთუ მართლაც ჩვენი ხალხის ბუნებაშია ჩვენი ცხოვრების წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზი? ვინ იცის და ვინ გვეტყვის. დაკვირვებასა და მსჯელობაში თუ მივაგნებთ ჭეშმარიტებას. ალბათ! ერთი კი მწამს, რომ ხალხზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ასე როდესაც ვფიქრობ, ყოველთვის (არაერთხელ დამიწერია კიდეც!) თვალწინ წარმომიდგებიან ჩვენში ერთ დროს ჩამოსახლებული გერმანელები, სასწაულები რომ მოახდინეს, ვარდ-ბაღნარად რომ აქციეს გადასაშენებლად განწირული ადგილები. როგორი საცხოვრებლები მოიწყვეს! დიახ, ევროპელები იყვნენ, საქმე უყვარდათ. ჩვენ კი, საქმე კი არადა, ენად გადავიქეცით, ლაპარაკს, ყვირილსა და აურზაურში ვატარებთ დროს, რაღაცას ვითომ წამოვიწყებთ და მერე ისევ ვანგრევთ, ან საერთოდ, მივატოვებთ თავისითაც ბევრი რამ ნადგურდება, მიტოვებულს და უპატრონოს აბა, რა დაემართება. ერთმანეთს ვატყუებთ, აი ვითომ ავაშენეთო და ერთ წელიწადში ეს „აშენებული“ თავზე გვენგრევა...აგერ ახლა ვნახე ტელევიზორში და ელდა მეცა, როდესაც ზღვის სანაპიროდან ამოყარეს ანაკლიის პროექტით ჩაბეტონებული უზარმაზარი მილები და უამრავი რამ, ერთ წუთში გაანადგურეს ადამიანის შრომაც, ტექნიკაც... განა, ყოველივე ამას ქვეყნისთვის ღირებულება არ ჰქონდა?

არა, ალბათ. სჯობს, პარლამენტში ვისხდეთ, ერთმანეთი ვლანძღოთ, ქვეყანა კი მაინც აშენდება. ზღაპრებში ვცხოვრობთ! თუ ასე არაა, რა დროს ერთმანეთთან წაკიდებაა. იუსტიციის მინისტრი და უფლებადამცველი ერთმანეთს რომ ვერ გაუგებენ... ვერ გაუგებენ კი არადა, არ უნდათ რომ გაუგონ, ქვეყანა და ხალხი არ აწუხებთ, თორემ პასუხისმგებლობა და მოვალეობა მათ უთუოდ ერთმანეთთან დააახლოებდათ, დაამეგობრებდათ კიდეც. ახლა ახალ შოუებს გვანახვებენ ასეთ ინტრიგებზე ჩასაფრებული ტელეჟურნალისტები, მთავრობის მოწინააღმდეგენი, ივანიშვილზე გადაკიდებულნი, „დემოკრატები“, რომელთაც დემოკრატიას და თავისუფალ მედიას ართმევენ, უხურავენ, უკრძალავენ და ამ დროს, უკლებლივ, იწვევენ „საინტერესო“ მოსაუბრე პოლიტიკოსებს, რომელთაც შესწევთ უნარი, ძალიან მუქ ფერებში დაგვიხატონ დღევანდელი საქართველო, ის საქართველო, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში იმ „გულმოწყალე“ ოპოზიციის ხელში იყო და რაღა დაგიმალოთ, არაფერი ხეირი არ გვინახავს. პირიქით, ისე დაობდა, დაბინძურდა, დაპატარავდა კიდეც ჩვენი ქვეყანა, რომ დღემდე გაჭირდა მისი გაწმენდა. აღდგენა-გაფართოებაზე, ხომ ზედმეტია საუბარი.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს აც არსად ჩანან გამწმენდ-დამსუფთავებლები, ქვეყნის აღმდგენელ-გამმთლიანებლები, ახლა ისინი ავყია თავდამსხმელებისაგან დაცვის რეჟიმში იმყოფებიან და ხალხს ხანდახან თუ შეახსენებენ, რომ არ დავიწყნიათ მასზედ ფიქრი. ძალიან ცუდი მდგომარეობაა. მტყუანისა და მართლის გარჩევა ჩვენს სასამართლოს კი არადა, საღად მოაზროვნე ადამიანებსაც უჭირთ. მაგრამ, რა გინდათ, აგერ ა, თითო-ოროლა ამერიკელმა კონგრესმენმა და ევროსაბჭოს წარმომადგენელმა ჩვენზე უკეთ დაინახეს (ზუსტად ისე, როგორც ჩვენი თვალაბმული ოპოზიცია ხედავს!) რა ხდება დღეს საქართველოში, როგორ უკან იხევს „წინაპართა“ მიერ ტანჯვით მოპოვებული დემოკრატია და მასთან ერთად რამდენი რამ სიკეთე. რა გეშველებათ? — ოხრავენ ჩვენი პარტნიორები. მათმა შეშფოთებამ და ოხვრამ საშინელი ეპიზოდები გამახსენა საქართველოს ისტორიიდან. როგორ ესეოდნენ და ავიწროებდნენ საქართველოს მეფეებს ქართველი ფეოდალები და ქვეყნის პარტნიორებთან და მოკეთეებთან კი არა, მტრებთანაც კი გარბოდნენ, არიქა, გვიშველეთ, ქვეყანას ვერ უძღვება ჩვენი მეფე და მის გადაგდებაში მოგვეხმარეთ როგორმეო! ასე არ იყო? იყო და ახლაც რომ იგივე ხდებოდეს, რატომ უნდა გვიკვირდეს! განა, ქვეყანა ენაღვლებოდათ იმ საცოდავებს? არა, არ ყოფნიდათ თავიანთი საფეოდალო, არც სიმდიდრე ყოფნიდათ, მეტი უნდოდათ! ალბათ, თქვენც გაგახსენდათ, ჩემო ძვირფასო მკითხველნო, საქართველოს მწარე ისტორიის ეს ფურცლები. უარესიც გაგახსენდათ იქნებ, ის გულზე ცეცხლისმომკიდებელი 37 წელი, ქართული ლიტერატურისა და ქართული ხელოვნების მებაირახტრეებს ცოლ-შვილიანად რომ ბინებიდან გამოყრიდნენ, აციმბირებდნენ, ტანჯავდნენ, ხვრეტდნენ... საუბედუროდ, როგორც ვატყობ, ქართველ ერზე მსგავსი „მზრუნველები“ დღესაც გვყავს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ვაი თუ ასეა?

გულნარა სტურუა

◎ **დღესასწაული**

ნინოოგას გილოცავთ!

27 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს, მოციქულთა სწორს და ქართველთა განმანათლებელს, ჩვენს წმინდა ნინოს.

...ცნობილია, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. მაგრამ, როცა დედა ღვთისმშობელმა დააპირა საქართველოში წამოსვლა საქადაგებლად, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ განეშორები იერუსალიმს. შენი წილხვდომილი ქვეყანა განათლდება მომავალში — შენი მეუფება განემტკიცების იქ.“.

საგულისხმოა ის, რომ მარიამ ღვთისმშობელმა გამოარჩია კეთილმორწმუნე კაბადოკიელი ასული ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ეევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში.

ქალწულ ნინოს კეთილად აუხდა ოცნება. ძილში ღვთისმშობელმა უთხრა: **„გაემგზარე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე... ეს ვაზის ტოტების ჯვარი იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ, ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისას ჩემისას, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.**

...გამოეღვიძა ქართველთა განმანათლებელს, ქალწულ ნინოს და ის ჯვარი იხილა თავის ხელში, რომელიც სწორედ დედა ღვთისმშობელმა მისცა.

ამ ჯვარმა უწინამძღვრა ქართველთა განმანათლებელს ოცნებად დასახულ ქრისტეს რჯულზე მოსაქცევად. მან მოაქცია ნანა დედოფალი, მირიან მეფე, მთიანეთელები.

წმინდანის ხსენების დღეს ნინოს ჯვარს გამოაბრძანებენ ხოლმე მლოცველთა თაყვანისაცემად და ამბორსამყოფად!

გიული ლიპარტია.

ვინ და რატომ ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაწევრებას?

რატომ ვერ შედის საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, მიუხედავად ამდენწლიანი სწრაფვისა? ეს საკითხი კვლავ გააქტიურდა, ამჯერად მეზობელ სახელმწიფოში.

ნატოს წევრი და საქართველოს მეგობარი ქვეყანა თურქეთი ჩვენი ქვეყნის ალიანსში გაწევრებას ითხოვს, რუსეთი კი კვლავ რჩება საქართველოს ნატოში გაწევრების მთავარ წინაღობად.

არადა, თუ საქართველოს სჭირდება ნატო, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუთ ჩავუშოღლუს განცხადებით, ნატოსაც არანაკლებ სჭირდება საქართველო.

სტრატეგიული პარტნიორების დახმარებით, ნატოში გაწევრების პერსპექტივა რეალურია, თუმცა, ალიანსის წევრთა ნაწილი, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსეთის ინტერესების გამტარებელი ხდება და ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრებაზე კვლავ უარს ამბობს.

რა პერსპექტივები აქვს საქართველოს ნატოში გაწევრების თვალსაზრისით და რატომ არ სურს ალიანსის წევრთა ნაწილს ამ ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის ხილვა?

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი ნიკა ჩიტაძე „2020NEWS"-თან აცხადებს, რომ ნატოს წევრი ქვეყნების ნაწილი საქართველოს ალიანსში გაწევრებას მხარს რუსეთის ფაქტორის გამო არ უჭერს.

მისივე თქმით, ალიანსის რამდენიმე წევრი ქვეყანა მზად არ არის იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოლოს და რუსეთთან ომი წამოიწყოს.

„თურქეთი გახლავთ საქართველოს მეზობელი სახელმწიფო და საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი. გარდა ამისა, თურქეთი, შეიარაღებული ძალების რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილზეა ნატოს წევრ ქვეყნებს შორის.

თუმცა, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ჯერჯერობით, ევროპის სხვა მოკავშირე სახელმწიფოები თავს იკავებენ, არა მხოლოდ საქართველოს ნატოში გაწევრებაზე, არამედ საქართველოსთვის გაწევრებისთვის საჭირო სამოქმედო გეგმის, მაპის მინიჭებაზე.

საქართველოს ნატოში გაწევრიანებას შემდეგი ქვეყნები ემხრობიან: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი.

აქტიური მოწინაღმდეგეები არიან: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, ლუქსემბურგი, ისლანდია, ესპანეთი.

რამდენიმე ქვეყანა ენერგეტიკულად არის რუსეთზე დამოკიდებული. ამ ქვეყნებს არ სურთ რუსეთის გაღიზიანება. მათი პრიორიტეტია, რომ საქართველო იყოს ნატოს ახლო პარტნიორი. თუ საქართველო ნატოში გაწევრდება, მათ მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება იმ ქვეყნის უსაფრთხოებაზე, რომელიც რუსეთთან კონფლიქტში იმყოფება", — განაცხადა ჩიტაძემ სააგენტოსთან საუბრისას.

ინფორმაციისთვის, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლეთ ჩავუშოღლუმ გერმანულ გამოცემა „ბილდთან" ინტერვიუში საქართველოს ნატოში გაწევრება მოითხოვა და განაცხადა, რომ ნატოს საქართველოს მსგავსი მოკავშირე სჭირდება.

ეკატერინე ზარნაძე

ქართველმა ბიზნესმენებმა უკრაინული პორტი 30-წლიანი მართვის უფლებით აიღეს..

დავოსში გამართულ ფორუმზე უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ პოტენციურ ინვესტორებთან საზღვაო პორტების მართვის უფლების გადაცემის შესახებ ისაუბრა.

„ჩვენ ხმა მივეცით მიწის რეფორმას, კონცესიას, მე ძალიან ბევრი შემიძლია ვისაუბრო ამის შესახებ", — განაცხადა ზელენსკიმ. მან ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე დღეში „დასავლელ ინვესტორს" უკრაინული პორტების მართვის უფლება მიენიჭებათ.

აღსანიშნავია, რომ ეს ეხება კომპანია „რისოილს", რომელმაც ცოტა ხნის წინათ კონკურსში გაიმარჯვა და ხერსონის ზღვის პორტის მართვის უფლება მოიპოვა. ეს არის პირველი შემთხვევა უკრაინაში, როდესაც ნავსადგურების მართვის უფლების კონკურსის წესით მინიჭება ხდება, მაგრამ ხელისუფლება სხვა ნავსადგურების ამავე სქემით გასხვისებასაც გეგმავს. რიგში შემდეგი ნიკოლაევის პორტი „ოლბიაა", ამის შემდეგ კი მოდის პორტები ოდესაში, მარიუპოლში, ბერდიანსკში და ჩერნომორსკში. მათი მართვის უფლების გადაცემა 30 წლით იგეგმება, ხოლო მათი შერჩევა კონკურსის გზით მოხდება.

ხერსონის პორტი წამგებიანი პროექტია. გასულ წელს მისმა ზარალმა 16 მლნ გრინვა შეადგინა, თუმცა, ამის მიუხედავად მისი ტვირთბრუნვა 2019 წელს 23,7%-ით, 3,8 მლნ. ტონამდე გაიზარდა. ეს არის უკრაინული პორტების მთლიანი ტვირთბრუნვის დაახლოებით 3%. ამ პორტიდან უცხოეთში გადის ძირითადად სასუქები, მეტალურგიული პროდუქცია, ნახშირი და ფეროშენადნობები.

ხერსონის პორტის მმართველი კომპანია „რისოლ ინვესტი" გახდა, თუმცა უკრაინის პრეზიდენტის განცხადების მიუხედავად, მისი „დასავლურობა" ეჭვს ბადებს, რადგან კომპანიის ბენეფიციარები ქართველი ბიზნესმენები **დავით ბეჟუაშვილი** და **შოთა ხაჯიშვილი** არიან. კომპანია „რისოლის" დამფუძნებელია Georgian industrial Group, რომელიც ასევე უკრაინული ფარმაცევტული კომპანია „ინდარი"-ს 30%-ს ფლობს. „რისოლის" კიდევ ერთი დამაარსებელი „რისოილ S.A" რამდენიმე ტერმინალს ფლობს უკრაინულ პორტებში (კერძოდ სამხრეთ ჩერნომორსკის პორტში), ასევე ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას „ბიოლ უნივერსალ უკრაინას" და სხვა.

ნინო თამაზაშვილი

დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გადის

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ევროკავშირის შემადგენლობიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შეთანხმებას მოაწერეს ხელი. „ყველაფერი შეიცვლება, მაგრამ ჩვენი მეგობრობა შენარჩუნდება. პარტნიორებისა და მოკავშირეების სტატუსით ურთიერთობების ახალ ეტაპს ვიწყებთ", — წერს მიშელი.

29 იანვარს შეთანხმების რატიფიცირება ევროპარლამენტში იგეგმება. დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ Brexit-ის შესახებ კანონს ხელი 23 იანვარს მოაწერა.

ბრიტანეთის პარლამენტის ორივე პალატამ ევროკავშირიდან ქვეყნის გამოსვლის შესახებ კანონ-

პროექტს მხარი 23 იანვარს დაუჭირა. 2019 წლის დეკემბერში პრემიერ ბორის ჯონსონის კონსერვატიულმა პარტიამ, რომელიც მხარს უჭერდა სწრაფ Brexit-ს, საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა. 2020 წლის 9 იანვარს ბრიტანეთის პარლამენტის ქვედა პალატამ კანონპროექტი დაამტკიცა, შემდეგ კი დოკუმენტი განსახილველად ზედა, ლორდთა პალატაში გადაიგზავნა. ბრიტანეთის გადაწყვეტილება ევროკავშირიდან გასვლის შესახებ ქვეყნის ეკონომიკას 4173,8 მილიარდი უკვე დაუჯდა.

ტრამპის „დიდებული გეგმა"

შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის „სამშვიდობო გეგმის" გამოქვეყნებას აანონსებს. ტრამპი „სამშვიდობო გეგმას" მომავალ სამშაბათს გამოაქვეყნებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ვაშინგტონს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

მას უკვე ჰქონდა შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან. გუშინ კი პუტინი პალესტინაში ჩავიდა მაჰმუდ აბასთან მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკებების თემა უცნობია. თუმცა, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც პუტინი და აბასი განიხილავენ, ტრამპის სამშვიდობო გეგმა ნამდვილად იქნება. ამასობაში კი, დონალდ ტრამპი თეთრი სახლიდან განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ მისი სამშვიდობო გეგმა შესაძლოა, თავდაპირველად პალესტინელებს არ მოეწონოთ, მაგრამ „საბოლოოდ ის მათთვის სასარგებლო იქნება".

ცნობისთვის, ტრამპის ინიციატივას პალესტინა უკვე გამოეხმაურა. პალესტინის პრეზიდენტის პრესსპიკერმა ნაბილ აბუ რუდეინაჰმა გამაფრთხილებელი კომენტარი გააკეთა: „პალესტინა აფრთხილებს ისრაელსა და აშშ-ის ადმინისტრაციას, არ გადაკვეთონ წითელი ხაზები".

მოსახლეობას ელექტრონული მონაცემებით ითვლიან

2019 წლის პირველი დეკემბრის მონაცემებით, უკრაინის მოსახლეობა 37 მილიონ 289 ათასი ადამიანია. ასეთი შედეგები მიიღეს მოსახლეობის ელექტრონული ტესტით აღწერის დროს. ამ სტატიკაში არ არის შესული იმ ადამიანების მონაცემები, რომლებიც ცხოვრობენ ყირიმში, ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში — ტერიტორიებზე, სადაც კიევის კონტროლი ვერ ვრცელდება.

ანალიზის დროს გაითვალისწინეს უკრაინის სამი მობილური საკომუნიკაციო ოპერატორის მონაცემები, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურისა და ელექტრონული რეესტრების მონაცემები, ასევე ფიზიკური პირების სახელმწიფო რეესტრის მონაცემები. 1989 წელს საბჭოთა კავშირის დროს უკრაინაში ჩატარებული საყოველთაო აღწერის თანახმად კი, უკრაინაში 51 მილიონ 707 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.



სოროსმა FACEBOOK ტრამპის მხარდაჭერაში დაადანაშაულა

ამერიკელი მილიარდერისა და ფილანტროპის ჯორჯ სოროსის განცხადებით, სოციალური ქსელი Facebook აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს წინასაარჩევნო კამპანიაში ეხმარება. ამის შესახებ მან დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა.

„ვფიქრობ, ტრამპსა და Facebook-ს შორის არაფორმალური შეთანხმება არსებობს, რომლის თანახმადაც Facebook ტრამპს მეორე ვადით არჩევაში დაეხმარება, ტრამპი კი Facebook-ს დაიცავს", — განაცხადა სოროსმა. ბრალდებებს უკვე გამოეხმაურნენ სოციალურ ქსელშიც. Facebook-ის პრესმდივნის განცხადებით, „სოროსი უბრალოდ ცდება".

კორონავირუსი ადამიანებზე გველებიდან გადავიდა

ჩინელი მეცნიერების ერთმა ჯგუფმა **წარმოადგინა მტკიცებულება, რომ კორონავირუსი ჯერ გველებში ვრცელდებოდა, შემდეგ გადავიდა ადამიანებზე.**

მტკიცებულებად მეცნიერებმა გენეტიკური ანალიზის შედეგები წარმოადგინეს. ეს ინფორმაცია უცხოურ გამოცემებში ვრცელდება.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კორონავირუსით ინფიცირებულები იკვებებოდნენ ბაზრობაზე ნაყიდი სხვადასხვა ცხოველის ხორცით, მათ შორის, ღამურებისა და გველებისაც, რა გზითაც გავრცელდა კიდეც ეს ვირუსი ადამიანებზე.

ჩინეთში კორონავირუსით გარდაცვალების 25 შემთხვევა დადასტურდა. ინფიცირებულთა რაოდენობამ 830-ს მიაღწია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ორდღიანი მსჯელობის შემდეგ ჩინეთში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, თუმცა მისი შეფასებით, ეპიდემიის გავრცელების გამო საგანგებო მდგომარეობის საერთაშორისო დონეზე გამოცხადება ნაადრევია.

კორონავირუსის ეპიდემიის გამო ჩინეთში 70 ათასი კინოთეატრი დაიხურა. შესაბამისი ერთობლივი განცხადება ქვეყნის კინოთეატრების უმსხვილესმა ქსელებმა გაავრცელეს. მანამდე ჩინეთის უმსხვილესმა კინოსტუდიებმა გააუქმეს პრემიერები, რომლებიც 25 იანვარს, ჩინური ახალი წლის დღეს უნდა გამართულიყო.

ჩინეთში საახალწლო ღონისძიებების უქმდება

ჩინეთში ახალი ვირუსის გავრცელების გამო, პეკინში დაგეგმილი საახალწლო მასშტაბური ღონისძიებების უმეტესობა გაუქმდა, — ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „სიენენი“ ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ხელისუფლებამ გადაწყვეტილება ვირუსის გავრცელების კონტროლის მიზნით მიიღო. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო მოსახლეობას აფრთხილებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოხვედრისგან თავი შეიკავონ.

ჩინეთში ახალი წლის დღესასწაულს 25 იანვრიდან 8 თებერვლამდე აღნიშნავენ.

◎ სავალალო სტატისტიკა

2019 წლის აპრილში თბილისის რამდენიმე ადგილას გამოჩნდა დამტვრეული მანქანების ინსტალაციები, რომლის ავტორი და მიზანიც თავიდან „გასაიდუმლოებული“ იყო. შსს ამბობდა რომ მათ შესახებ არაფერი იცოდა, მერია კი ერთ-ერთი სარეკლამო კამპანიის ნაწილად მიიჩნევდა. საბოლოოდ, ამოყირავებული და დაზიანებული მანქანები შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი სოციალური კამპანიის ნაწილი აღმოჩნდა, რომელიც როგორც „რადიო თავისუფლების“ მიერ შსს-დან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, ჯამში ნახევარ მილიონზე მეტი დაჯდა.

საქართველოს მასშტაბით განთავსებული დაზიანებული მანქანები, როგორც ირკვევა, შს სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტომობილები იყო და მათ სხვადასხვა ადგილებში განთავსებისთვის 34 696 ლარი დაიხარჯა, დემონტაჟსა და დასაწყობებაში — 4 846.

კამპანიის შესახებ ხალხის ინფორმირებისთვის გამოიყენებოდა ყველა პლატფორმა: ვებ-საიტი და სოციალური მედია, „ინფლუენსერები“, გარე რეკლამა ბანერებზე, რადიო და სატელევიზიო ეთერები. დაიბეჭდა მაისურები და ფლაერები.

კამპანიისთვის დამზადდა საიტი და წარმოებდა სოციალური მედიაკამპანია. ვებ-საიტის შექმნა 4 800 ლარი დაჯდა, სოციალურ რეკლამაში კამპანია და მისი რეკლამირება — 25 532 ლარი.

შსს-სგან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მასში ჩართულები იყვნენ „ინფლუენსები“ და მათი აქტივობები შსს-ს 25 000 ლარი დაუჯდა.

უამრავი თანხა დაიხარჯა, მაგრამ...

გარე რეკლამის თანხები 100 000 ლარს სცილდება, ტელევიზიაში საეთერო დროის ყიდვის თანხები 200 000 ლარს, ხოლო რადიორეკლამაში დაიხარჯა 40 000-ზე მეტი.

2019 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების გამო 481 ადამიანი დაიღუპა

საქართველოში 2019 წლის განმავლობაში 5839 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა, რა დროსაც 481 ადამიანი დაიღუპა და 7921 დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ავრცელებს.

2019 წელს ავტოსაგზაო შემთხვევებში დაღუპული ადამიანების რიცხვი წინა წელთან შედარებით 5%-ით არის გაზრდილი.

გაზრდილია თბილისში მომხდარი ავარიებისას დაღუპულთა რაოდენობაც: 2019 წელს წინა წელთან შედარებით დაღუპულ პირთა რიცხვი 10 %-ით გაიზარდა (9 ადამიანით მეტი დაიღუპა), ხოლო საგზაო შემთხვევები — 8%-ით.

არასამთავრობო ორგანიზაცია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევ სავარაუდო მიზეზებად ასახელებს:

- **შემსვედრი მოძრაობის ზოლში გადასვლა ან გასწრების წესების დარღვევა;**
- **მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება;**
- **სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში.**

ნასტასია არაბული

15 000 წლის წინანდელ ყინულებში აქამდე უცნობი უძველესი ვირუსები აღმოაჩინეს

უკვე 15 000 წელია, ტიბეტის მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არსებული ერთ-ერთი მყინვარი უჩვეულო სტუმრებს მასპინძლობს — გაყინულ ვირუსთა კრებულს, რომელთაგან მრავალი სრულიად უცნობია თანამედროვე მცნიერებისთვის.

მკვლევრებმა ისინი ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს, მას შემდეგ, რაც ტიბეტის ამ მყინვარიდან ყინულის ორი ნიმუში (კერნი) აიღეს; ყინულებში აქამდე უცნობ ვირუსთა 28 ჯგუფი აღმოჩნდა.

ამ იდუმალ ვირუსთა კვლევა მეცნიერებს შეიძლება შეატყობინოს, რომელი ვირუსები ყვაოდნენ სხვადასხვა კლიმატსა და გარემოში დროთა განმავლობაში. ყველაზე ცუდი სცენარის შემთხვევაში კი, ამ ყინულის დნობამ შეიძლება გარემოში გამოათავისუფლოს პათოგენები. ამის შესახებ მეცნიერები წერენ კვლევაში, რომელიც ჯერ რეცენზირებული არ არის. და თუ მაინც ასე მოხდა, საჭიროა, მათ შესახებ რაც შეიძლება ბევრი რამ ვიცოდეთ.

უძველესი მყინვარის მიკრობთა კვლევა ფრიად რთულია. ამის მიზეზი ის არის, რომ ყინულის ნიმუშები შეიძლება ძალიან ადვილად დაბინძურდეს თანამედროვე ბაქტერიებით. ამიტომ, მიკრობული და ვირუსული ნიმუშების შესაგროვებლად მეცნიერებმა ახალი, ულტრასუფთა პროტოკოლი შექმნეს.

ამ შემთხვევაში, ყინულის კერნის ორი ნიმუში ტიბეტის მთიანეთის გულიას ყინულის ქუდიდან 1992 და 1995 წელს აიღეს. თუმცა, იმ დროს, ყინულის გაბურღვისას არ მიუღიათ არანაირი სპეციალური ზომები მიკრობული დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

ექსპერიმენტის შედეგად, ყინულის ნიმუშებში გამოვლინდა ვირუსების გვარის 33 ჯგუფი. მათგან 28 ჯგუფი მეცნიერებისთვის აქამდე სრულიად უცნობი იყო. მათი თქმით, ორ ნიმუშში არსებული მიკრობები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ, ანუ, სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში ყინულებში დალექილი არიან სრულიად სხვადასხვა კლიმატურ გარემოში.

მეცნიერთა განცხადებით, ის, რომ მყინვარები ვირუსებს ასე დიდხანს ინახავს, სულაც არ არის გასაკვირი.

„დედამიწაზე არსებულ ვირუსთა მთელი მრავალფეროვნება რასაკვირველია, ჯერ აღმოჩენილი არ არის“, — ამბობს საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ცენტრის ვირუსოლოგი შანტალ აბერგელი.

ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილების კვალდაკვალ, მყინვარები დნება და ეს ვირუსული არქივებიც შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოს. მეცნიერთა განცხადებით, უძველეს ვირუსთა კვლევა უმნიშვნელოვანესია.

მომზადებულია Live Science-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

არდავიწყება

მარატ ღვალაძე

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, კაცი — სიკეთის განსახიერება...

მარატ ღვალაძეს 26 იანვარს 80 წელი შეუსრულდებოდა. ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. დიდი ტკივილი დაგვიტოვა. თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი რამის გაკეთება მოასწრო.

სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარ სამეცნიერო რედაქციაში, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში, იყო საქალაქო გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ მთავარი რედაქტორი, დოკუმენტური ფილმის „მხატვარი ზურაბ წერეთელი“ სცენარის თანაავტორი.

განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მრავალტომეულის გამოცემის საქმეში, არის ავტორი და რედაქტორი მრავალი სტატიისა.

კაცურად იცხოვრა, დატოვა კარგი შთამომავლობა — ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი. მისი შთამომავლები ღირსეულად აგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს. ძალიან უყვარდა თავისი სოფელი ცხრუკვეთი, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენ. ოცნებობდა იქ მამაპაპისეული სახლის აღდგენაზე, მაგრამ ვერ მოასწრო... დღეს მის ეზოში დგას სახლი, მშვენიერი მარანი, ისევ ყვავის მისი დარგული ვენახი...

წერეთლების დიდი გვარის შთამომავალი (დედით), მოხდენილი გარეგნობის, ვაჟკაცური ბუნების, მეგობრების დიდი მოყვარული — ასეთად დარჩა ის ახლობლების მეხსიერებაში. სამწუხაროდ, მისი უახლოესი მეგობრების უმრავლესობა მასთან არის — კარგი ბიჭები იყვნენ. ღმერთმა გაანათლოს მათი სულები...

მარატ ღვალაძეს არასოდეს დავივიწყებთ!..

ახლობლები, მეგობრები

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ჩიქობავას ქ. №42/5.

599 79-76-79;

568 82-09-84

ცხონება

ჭეშმარიტი მამულიშვილი გაიოზ ნოზაძე

ცნობილი სენტენცია — „ვილოცოთ, რომ ლამაზ სხეულში ლამაზი სული იყოს!“, მხოლოდ კარგი გაგებით ესადაგება **გაიოზ ნოზაძის** პიროვნებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გაიოზ ნოზაძე ყოველმხრივ შემკული, ანუ სრულქმნილი პიროვნება იყო: სიმპათიური, ზნეკეთილი, ჭკვიანი, საქმით პატრიოტი და მეგობართა ნუგეშისმცემელი...

გაიოზ ნოზაძე ნოზაძეთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი იყო. მისი მდიდარი შრომითი ბიოგრაფია თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავს და სადაც კი იმოღვაწა, ყველგან კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით, სამართლიანობით და პატიოსნებით გამოირჩეოდა. როგორც თაობის ერთ-ერთ ლიდერს, მას ახალგაზრდობიდანვე მაღალი თანამდებობები ეკავა, მაგრამ უპატიოსნეს ოჯახში აღზრდილ ახალგაზრდას განვლილი ცხოვრების განმავლობაში ხალხთან და თანამშრომლებთან ურთიერთობაში წონასწორობა არასოდეს დაუკარგავს. რაიკომის პირველ მდივნად პატიოსნად მუშაობა არ იყო იოლი საქმე. ხშირად ადგილის „გაფუჭებას“ არავინ გაპატიებდა, მაგრამ გაიოზ ნოზაძემ თავისი პიროვნული ხიბლის, პრინციპულობის წყალობით შეძლო ამ ბარიერის გადალახვა და ახლა, როდესაც ზოგიერთ თანამდებობის პირს საკუთარი რაიონისკენ გახედვა ეუხერხულება, გაიოზ ნოზაძეს თავის მშობლიურ ჭიათურასა თუ ბაღდათში, სადაც ის ხელმძღვანელად მუშაობდა, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებიან. ამიტომ, სულაც არ იყო შემთხვევითი, რაიონიდან წამოსვლის 5 წლის შემდეგ, 1995 წელს საქართველოს პარლამენტში ბაღდათის მოსახლეობამ დეპუტატად რომ აირჩია. ასეთი რამ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მან თავის დროზე სიკეთე დათესა და ხალხის სიყვარულიც მოიმკო.

გაიოზ ნოზაძე 1937 წლის 14 თებერვალს დაიბადა ჭიათურაში. დედა — თამარ ტყემალაძე დამსახურებული პედაგოგი იყო, მამა, პლატონი — დამსახურებული მეგზევე-ინჟინერი. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რითაც მთელი სიცოცხლე ამაყობდა. მან დიდი წვლილი შეიტანა ჭიათურისა და საჩხერის რაიონების აღმშენებლობაში.

გაიოზ ნოზაძე 1955 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1960 წელს დაასრულა ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით, ხოლო 1977 წელს მოსკოვში წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აკადემია და მიიღო ეკონომისტ-საზოგადოებათმცოდნის სპეციალობა.

მისი შრომითი საქმიანობა ჭიათურაში 1960 წელს ტრესტ „ჭიათურმანგანუმმშენში“ დაიწყო. ამ ქალაქში მან 20 წელიწადი იღვაწა. 1973-1980 წლებში პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო. 1980 წელს პარტიის ბაღდათის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს, სადაც 10 წელი დაჰყო.

მისი უშუალო მონაწილეობით ქ. ჭიათურასა და ბაღდათის რაიონში მრავალი სოციალური და კულტურული, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი ამოქმედდა, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია, დავასახელოთ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეკონსტრუირებული შენობა, მაღაროელთა კულტურის სასახლე, სპორტული კომპლექსი, სატროლეიბუსო ხაზი ჭიათურა-საჩხერეს შორის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფო კომპლექსი, საავტომობილო გზები, მანგანუმის მადნის ახალი მიწისქვეშა სიმძლავრეები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, ბაღდათში რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის სალიტერატურო დარბაზი, კურორტ საირმის ობიექტები, ათეულობით ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი, საცხოვრებელი სახლები, სოფლის ადმინისტრაციული ცენტრები და მრავალი სხვ.

1990 წლის აპრილში გ.ნოზაძე გადაიყვანეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ იყო მინისტრთა კაბინეტის წამყვანი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, საგანგებო სიტუაციების, ლტოლვილთა და განსახლების სამსახურის უფროსი.

როგორც უკვე ვთქვით, 1985-1990 წლებში მაიაკოვსკის რაიონის დიმის საარჩევნო ოლქიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1995-1999 წლებში ბაღდათის რაიონიდან მაჟორიტარული წესით აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. იმ მოწვევის პარლამენტში იყო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარის მოადგილე, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის წევრი, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის წევრი.

გაიოზ ნოზაძე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციების, მათ შორის, სვანეთიდან და მთიანი აჭარიდან სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სხვა რაიონებში ჩასახლების, 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად წარმოშობილი პრობლემების მოგვარებაში. როგორც რესპუბლიკური შტაბის წევრი, 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, უშუალოდ მონაწილეობდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ურთულეს პირობებში დევნილთა ჭუბერის უღელტეხილის გავლით ორგანიზებულად გადმოყვანაში. როგორც შერეული საკონტროლო კომისიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების, დაზიანებული ობიექტების აღდგენის პროცესში. ამასთან, გაიოზ ნოზაძე კოორდინაციას უწევდა სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებს და როგორც საპარლამენტო მდივანი, უშუალოდ მონაწილეობდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

გავიდა წლები. გაიოზ ნოზაძე დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა, — ნოზაძეთა საგვარეულო კავშირის „ვიკტორ ნოზაძის საზოგადოების“ თავმჯდომარე იყო. საზოგადოება აპირებს, გამოსცეს ამ დიდი მამულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა — თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. მოკლე ხანში გამოვიდა სამი ტომი. საზოგადოება მიზნად ისახავს სხვა ეროვნული საკითხების გადაწყვეტას, კერძოდ, ვიკტორ ნოზაძის მშობლიურ სოფელში დიდი მეცნიერის სახლ-მუზეუმის გახსნას.

გაიოზ ნოზაძის ღვაწლი ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასა: იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით“, მედლებით, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით. 2002 წელს კი საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციაში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების ურთულეს კლიმატურ პირობებში ორგანიზებულად გამოყვანასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, აქტიური კანონშემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნების ხელშემწყობი სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე გაიოზ ნოზაძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

გაიოზ ნოზაძეს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰყავდა. მისი მეუღლე მარინა მოდებაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის თანამშრომელია. მათ ორი ვაჟი აღზარდეს — პლატონი და მამუკა. ნოზაძეებს ჰყავთ ხუთი შვილიშვილი — თამარი, გიზო (გაიოზი), ეკატერინე, მარიამი და ლაზარე.

გაიოზ ნოზაძეს მრავალი ეროვნული საქმე აქვს გაკეთებული, მას ბევრისთვის დახმარების ხელი გაუწვდია, მაგრამ თავის თავზე, თავის დამსახურებაზე არასოდეს არ უსაუბრია — კეთილ საქმეს ყოველთვის უჩუმრად, მონდომებით და შესანატრი ერთგულებით აკეთებდა. სწორედ ამ მხრივაც არის საინტერესო ცნობილი ქართველი პოეტის, ენამჭევრი და ენამზიანი ჩვენი საზოგადო მოღვაწის გენო კალანდიას დაუვიწყარი მოგონება — „ნუგეშისმცემელი“, რომელიც სოხუმის დაცემის შემდეგ, 1993 წლის ოქტომბრის ტრაგიკულ ამბებს ეხება და შესანიშნავად წარმოაჩენს გაიოზ ნოზაძის ნათელ პიროვნებას...

„...მე, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, — წერს ბატონი გენო, — ბატონ გაიოზ ნოზაძის წინადადებით საგანგებო შტაბის წევრად დამამტკიცეს ბორის სარალიძესთან, ლია ცინდელიანთან, ივერი ჭელიძესთან, მამუკა მინდელთან, კახა კვიციანთან ერთად... დაიწყო ჩვენი ოცდაოთხსაათიანი სამუშაო რეჟიმი დევნილთა გადასარჩენად. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასე ყვარებოდა თავისი ხალხი, გულთან ასე მიეტანოს მოყვასის მწუხარება და გასაჭირი. ბატონი გაიოზი ყველგან ასწრებდა, საკუთარი ხელით ურიგებდა დამშეულთ და უპოვართ სურსათ-სანოვაგესა და თბილეულს, ავტობუსებით, ვერტმფრენებით, უბრალო საბარგულებით აგზავნიდა თბილისის, ზუგდიდისა და ქუთაისის მიმართულებით.

სამი კვირა ძმასავით მიპატრონა გაიოზ ნოზაძემ, ფსიქოლოგიური სტრესიდან ნელ-ნელა გამომიყვანა. ჩემი თანამემამულეების ტრაგედიაში უფრო ღრმად ჩამახედა და... სამუდამოდ იქ გავჭაღარავდი.

... მე ეს მახსოვს, ეს ახსოვთ ჩემს თანამემამულეებს, ჩვენს კეთილმსურველებს“.

მართლაც რომ ნამდვილი ვაჟკაცი, ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი ბრძანდებოდა. თითქმის ვერაფერს დაამატებ.

მეგობართა ჯგუფი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

გაიოზ ნოზაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲘᲒᲣᲐ

86 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი მეცნიერ-მეტალურგი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲘᲒᲣᲐ. 1957 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით. 1957 -59 წწ. მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ინჟინრად. 1959-1990 წ.წ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილე და დირექტორი. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1988 წელს სადოქტორო დისერტაციები. ძირითადი სამეცნიერო მიმართულებაა დნობებისათვის მადნების მომზადების, თუჯის, ფოლადისა და მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოების ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური საფუძვლების კვლევა.

გამოქვეყნებული აქვს 170 სამეცნიერო შრომა, მათ შორის ორი მონოგრაფია და 8 საავტორო მოწმობა გამოგონებებზე. იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეჟისორი გოგი თოდაძე გარდაიცვალა

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ქართველი რეჟისორი **ᲒᲝᲒᲘ ᲗᲝᲓᲐᲫᲔ** 75 წლისა გარდაიცვალა.

გოგი თოდაძე იყო შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 90-მდე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი (კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, გორის გ. ერისთვის სახელობის თეატრი, თავისუფალი თეატრი, თეატრი ათონელზე, ტელევიზია, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თეატრი, გრიბოედოვის სახელობის თეატრი, სკოლა-სტუდია„ბერიკები“, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი).

ის იყო სკოლა-სტუდია „ბერიკების“ დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი; მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი. ევროპის ახალგაზრდა შემოქმედთა სწავლების სემინარის (ქ. ანკარა) პედაგოგი; მსოფლიოს მრავალი თეატრალური ფესტივალის მონაწილე და პრიზიორი (რუსეთი, გერმანია, ინდოეთი, იაპონია, კორეა, მონაკო).

◎ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲠᲘᲡᲛᲐᲪ ᲒᲐᲭᲠᲐ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ქართული სპორტის ისტორიაში სასახელო ფურცელი ჩაწერა ფიგურისტმა მორის ყვითელაშვილმა, რომელმაც, პირველმა ვაჟ თანამემამულეთაგან, ევროპის ჩემპიონატზე ერთეულთა თანრიგში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

პიონჩანგის თეთრი ოლიმპიადის მონაწილე საპატიო კვარცხლბეკზე ასვლის შანსს სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ დაკავებული მეოთხე პოზიციით ინარჩუნებდა. საბედნიეროდ, ეს შესაძლებლობა მან თავისუფალ ვარჯიშში დამსახურებული 163,94 ქულით მშვენივრად გამოიყენა და ჯამში 246,71 ქულას მოუყარა თავი, რაც მესამე საპრიზო ადგილზე გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ლეგენდარულ ესპანელ ფერნანდეს მიერ შთამბეჭდავი კარიერის დასრულების შემდეგ სპორტის ამ გრაციოზულ სახეობაში ლიდერობას რუსეთის წარმომადგენელი ვაჟები იმკვიდრებენ, რაც ავსტრიის ქალაქ ლინცის ყინულზეც დადასტურდა – „ოქრო“ალიევს ხვდა წილად, ხოლო „ვერცხლი“ – დანიელიანს. ისე, კაცმა რომ თქვას, თუ რჩეულთა ტრიოს ფესვებს გავითვალისწინებთ, სახეზეა კავკასიელთა აქამდე არნახული დომინაცია.

დავძენთ, რომ ფინალურ ბლოკში ირაკლი მაისურაძემაც ისრიალა, რომლის მონაგარიც 214,47 ქულა და საპატიო მე-14 საფეხურია.

მსგავსი წარმატების მიღწევა შეუძლია მოცეკვავეთა „ჯვაროსან“ წყვილს მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას შემადგენლობით, რომელმაც კონტინენტურ ფორუმზე დებიუტი კვალიფიკაციის დაძლევითა და რითმული ცეკვების პროგრამაში მოხვეჭილი 67,49 ქულით „დაასველა“ (მე-12 შედეგი).

დღეს ისინი თავისუფალ ცეკვებში გამოვლენ.

ᲑᲔᲭᲐᲜ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

◎ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲔᲧᲝ

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში გერმანელებს 9:7 მოვუგეთ, ხოლო ახლახან მონტენეგროს დედაქალაქ პოდგორიცას ოთხთა ტურნირზე – 10:7, მაგრამ იმავე მეტოქესთან გუშინ ბუდაპეშტისაუზში გადატანილი ბრძოლის შედეგს სხვა დატვირთვა ჰქონდა – ირკვეოდა 34-ე კონტინენტური ფორუმის მე-9 ადგილის მფლობელის ვინაობა, რაც მას ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრის შანსს შეუნარჩუნებდა.



„რუსებთან დრამატული დუელის წაგებით იმედგაცრუებულნი ვიყავით, რის გამოც თურქებთან მატჩამდე ძალების ბოლომდე აღდგენა და კონცენტრაცია ვერ შევძელით, მაგრამ ფავორიტის სტატუსი მაინც გავამართლეთ, კარგად ვითამაშეთ და სოლიდური სხვაობით გამარჯვებით ხასიათი გამოვიკეთეთ. ასე რომ, ბოლო შეხვედრის მოგება და ჩვენთვის საუკეთესო მე-9 ადგილის დაკავება ნამდვილად შეგვიძლია“ – ამბობდნენ გუშინდელი პაექრობის წინ „ჯვაროსანთა“ თავკაცი რევაზ ჩომახიძე და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მარკო ელაჩა.

არანაკლებ პრინციპული და სარევანშო განწყობა სუფევდა მეტოქის ბანაკში: **„უნგრეთის დედაქალაქში ჩვენს მიზანს ორი წლის წინანდელი შედეგის გამეორება და მე-9 ადგილის დაკავება წარმოადგენს, რამაც, არაა გამორიცხული, მსოფლიოს ჩემპიონატზე დაგვიბევოს ადგილი“** – მატეო ცუკი.

„უკანასკნელ წლებში ქართველებთან ორივეჯერ დავმარცხდით, ამიტომ პარასკევს მათზე უკეთ უნდა ვითამაშოთ და მოვიგოთ. ამას საკუთარი თავმოყვარეობა გვავალდებულებს“ – მორიც შენკელი.

სამწუხაროდ, გერმანელთა მოტივაცია უფრო საფუძვლიანი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პერიოდში 7:3 დავწინაურდით, სოლიდური უპირატესობა ქარს გავატანეთ და 8:9 დავმარცხდით, რამაც საბოლოოდ მეათე ადგილი მოგვიტანა.

ამისთვისაც მადლობა ბიჭებს!

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

◎ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

თბილისის „დინამოს“ ახალი სპონსორი ჰყავს. როგორც საქართველოს მოქმედი ჩემპიონის საიტი იტყობინება, ამიერიდან გუნდი ავტოსერვისის ქსელ „ოტო მოტორსთან“ ითანამშრომლებს.

ერთწლიანი ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს შორის მრავალი აქტივობა და სიახლე იგეგმება.

შეგახსენებთ, რომ „დინამო“ ამჟამად თურქეთშია შეკრებაზე და ახალი სეზონისთვის იქ ემზადება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

◎ ᲡᲣᲛᲝ

ᲐᲡᲔᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ!

ᲰᲐᲪᲣ ᲑᲐᲨᲝᲡ მე-13 საშეჯიბრო დღეს მორიგი მარცხი განიცადა ლევან გორგაძემ. ტოჩინოშინი ოძეკ გოეიდოს დაუპირისპირდა და იორიკირის ილეთით წააგო.

ჩვენებურმა არც ისე კარგ კონდიციებში მყოფ მეტოქეს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და გოეიდომ მისი დოჰიოს მიღმა გადაყვანა ადვილად მოახერხა.

ეს აღნიშნული წყვილის 29-ე დაპირისპირება იყო, რომელთაგანაც ტოჩიმ მხოლოდ 10 დაასრულა მოგებით.

ამრიგად, ქართველ სუმოისტს წლის პირველ ბაშოზე 5 მოგების საპირისპიროდ 8 მარცხი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ დადებით ბალანსს ვეღარ გაინაღდებს. ლევანის მომდევნო მეტოქე სეკივაკე ტაკაიასუ იქნება.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

მონაკოელ სომელიეებს ვმასპინძლობთ

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს მონაკოს სომელიეთა ასოციაციის წევრები ეწვივნენ. ჯგუფის შემადგენლობაში მონაკოს საუკეთესო რესტორნების შეფ-სომელიეები არიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის მონაკოს ღვინის ბაზარზე. ვიზიტის ფარგლებში სომელიეები ქართულ ღვინოს ქართლსა და კახეთში 10-მდე ღვინის მარანში გაეცნენ.

მონაკოელ სტუმრებს თან ახლდა ჟურნალისტების 7-კაციანი ჯგუფი, რომლებიც აღნიშნულ ღვინის ტურზე სპეციალურ მასალას ამზადებენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ლევან მეხუზლას განცხადებით, ქართული ღვინის პოპულარიზაციის ფარგლებში, 2020 წელს ღვინის პროფესიონალების ვიზიტების მხარდაჭერა გაგრძელდება.

ღვინის პროფესიონალების ჯგუფს საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ენოლოგი, ქართული ღვინის პრომოუტერი ილია კახოიძე ხელმძღვანელობს, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე მონაკოს სომელიეთა ასოციაციის საპატიო წევრად აირჩიეს. ილია კახოიძე კომპანია „Le Pont Caucasien"-ის ხელმძღვანელია, რომელთანაც ღვინის ეროვნული სააგენტო საფრანგეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით 2015 წლიდან თანამშრომლობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„შექსპირი საქართველოში"

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში გამოფენა „შექსპირი საქართველოში" გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო „ქართული შექსპირიანას" შესახებ უორდროპების კოლექციაში დაცული უნიკალური ხელნაწერები, წერილები და წიგნები, აგრეთვე საქართველოში გამოცემული ალბომები, ლიტერატურული ჟურნალები, სამეცნიერო კრებულები, რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული უნიკალური აფიშები, პროგრამები და ფოტომასალა, რომელიც „ქართული შექსპირიანას" თარგმნის, შესწავლისა და სცენური ინტერპრეტაციის წარსულსა და აწმყოს ასახავს.

კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, საქართველოს ელჩმა დიდ ბრიტანეთში **თამარ ბერუჩაშვილმა.**

სიტყვით გამოსვლისას თამარ ბერუჩაშვილმა ისაუბრა შექსპირის უნიკალურ შემოქმედებაზე და მის გავლენაზე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ასევე საქართველოსა და ბრიტანეთს შორის კულტურის სფეროში არსებულ მჭიდრო ურთიერობებზე.

კონფერენციის ფარგლებში ნაჩვენები იყო გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის" სამხატვრო ხელმძღვანელის მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფიული წარმოდგენა „შექსპირი სიყვარული", რომელიც 2016 წელს რუსთაველის თეატრში დაიდგა და შექსპირის გარდაცვალებიდან 400 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

ღონისძიების დასასრულს ყველა ექსპონატი ბოდლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა.

ლადო ასათიანის კადრი აღმოაჩინეს

საქართველოს **პირველი არხის არქივში, სავარაუდოდ, ლადო ასათიანის კადრი აღმოაჩინეს. არქივი ინახავს პატარა სიუჟეტს კოლხეთის გადასარჩენად გამართულ სახალხო ლაშქრობაზე წასული მწერლების შესახებ, რომელთა შორის სიუჟეტის ავტორი ასახელებს შალვა დადიანს, ლეო ქიაჩელს, დემნა შენგელაიას, სერგო კლდიაშვილს, კარლო კალაძესა და ლადო ასათიანს. სწორედ ამ სიუჟეტზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ კადრებში შესაძლოა, ლადო ასათიანიც ჩანდეს.**

ერთი კადრით დარჩენილი ადამიანები

მოძიებულია ასევე მასალები, რომლებიც კოლხეთის გადასარჩენად გამართულ სახალხო ლაშქრობაზე ლადო ასათიანის გამგზავრებას ადასტურებს. აღმოჩენილია საგაზეთო სტატიები, მათ შორის, შალვა დადიანის ავტორობით.

ჯერ დადასტურებულად არ იციან, საარქივო სიუჟეტში კონკრეტულად რომელი მამაკაცია ლადო ასათიანი. არსებობს ორი ვერსია, რომ ლადო ასათიანი არის ადამიანი, რომელიც კადრებში პირველად ჩნდება, ხოლო მეორე ვერსიით — მამაკაცი სიგარეტით ხელში.

აღადგინეს 3 ათასი წლის წინათ გარდაცვლილის ხმა

ბრიტანელმა **მეცნიერებმა ძველ ეგვიპტეში მცხოვრები ქურუმის ნესიამუნის ხმა აღადგინეს და მას რამდენიმე ბგერა „წარმოათქმევინეს".**

ნესიამუნის მუმია პროექტის „ხმები წარსულიდან" მონაწილე გახდა, რადგან ქურუმის ხმის იოგები მშვენიერ მდგომარეობაში შემოინახა. სპეციალისტებმა მის მუმიფიცირებულ ნეშტს კომპიუტერული ტომოგრაფია ჩაუტარეს და სამგანზომილებიან სკანერში გააატარეს. ორგანოების ზუსტი ზომების გამოყენებით კი ქურუმის ხმის იოგების ასლი 3D-პრინტერზე დაბეჭდეს და კომპიუტერული პროგრამის დახმარებით მისი ჟღერადობაც აღადგინეს.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა გარდაცვლილი ადამიანის ხმა ხელოვნური ინსტრუმენტების დახმარებით აღადგინეს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მომავალში ნესიამუნს სრულ წინადადებებს „წარმოათქმევინებენ".

ნესიამუნის მუმია ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი ეგვიპტური არტეფაქტია, რომელიც დიდ ბრიტანეთში ინახება. მუმია კარნაკში, ამონის ერთ-ერთ ტაძარში აღმოაჩინეს. ნესიამუნი ფარაონ რამზეს მე-11-ეს დროში ცხოვრობდა და მაღალი რანგის ქურუმი იყო.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8867; ევრო - 3.2005;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7899;
100 რუბლი - 4.6592; თურქული ლირა - 0.4874;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7001;
1000 სომხური დრამი - 6.0259.

ამინდი 25 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	+3
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+2
თბილისი:	ღამე	-3,	დღე	+4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge